ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

№ 80 (11 332)

15–18 ოქტომბერი, 1999 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



# ევრო-2000 საკვალიფიკაციო ეტაპის წყვილები ცნობილია

## კიდევ ერთი ლიცენზია, ამჯერად ტანვარჯიშში

ჩინეთში მიმდინარე ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო პირველობაზე ჩვენმა წარგზავნილმა ილია გიორგაძემ სიდნეის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოიპოვა. კონკრეტულად რომელ ადგილზე გავიდა, ჯერ უცნობია. 36 უძლიერესში, რომლებსაც უფლება ეძლევათ იასპარეზონ მრავალჭიდში, ილია გიორგაძე 35-ე შედეგით შევიდა.



ილია გიორგაძე

„ბუმათე“ – „ლელო“

### ინტეგრაცია

## მოულოდნელად საერთაშორისოში, წევრად-ევროპაში

სპორტული მედიცინა მთელ მსოფლიოში დგას სპორტის სამსახურში და თუ ჩვენს საუკუნეში სპორტმა წარმოუდგენელი სიმაღლეები დაიპყრო, ამაში უდავოდ მიუძღვის ლომის წილი სპორტულ მედიცინას. დარგის საქართველოს სპეციალისტებმა, განვლილ ათწლეულებში, მსოფლიო აღიარება მოიპოვეს თავიანთი გამოკვლევებით. ბოლო ხანებში ჩვენში ამ სფეროშიც თავი იჩინა ინერტულობამ და მას შემდეგ, რაც შარშან, კვლავ აღსდგა საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაცია და რეორგანიზებულ ამ ორგანიზაციას სათავეში ვეტერანი ხელბურთელი, შსს ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე გია აბესაძე ჩაუდგა, საქართველოში სპორტულმა მედიცინამ



გია აბესაძე (მარცხნივ) და EFSM-ის ვიცე-პრეზიდენტი

ახალი სიცოცხლე შეიძინა. დაიწყო საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრაციის პროცესი, რაც ახლახან ევროპის ასოციაციაში (EFSM) 41-ე ნამდვილ წევრად ჩვენი მიღებით დაგვირგვინდა. იქვე, ინსბრუკში გამართულ სპორტული მედიცინის საერთაშორისო კონგრესზე ჩვენი ქვეყანა ამ ორგანიზაციის (FIMS) მომლოდინე წევრად მიიღეს საბერძნეთთან და ისრაელთან ერთად.

**გია აბესაძე:** FIMS-ი 1928 წლიდან საქმიანობს. დღემდე მას 12 პრეზიდენტი ჰყავდა. ამჟამად ხელმძღვანელობს ბრაზილიელი პროფესორი ედუარდო ჰენრიკე დე როზი. წინამორბედთა ღვაწლის დასაფასებლად, ყოველი ახალი პრეზიდენტი სხდომებს მკერდზე ჩამოკიდებული ლენტით უძღვება, რომელზედაც FIMS-ის ყველა ყოფილი პრეზიდენტის გვარია ამოქარგული. ამ ორგანიზაციაში ჩვენი გაწევრიანების საკითხი საბოლოოდ გაისად დეკემბერში გადაწყდება.

თ. თომაშვილი

*როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, ევროპის მომავალი ჩემპიონატისთვის 122 გუნდმა დაიბევა ადგილი. დარჩა ოთხი ვაკანტური ადგილი, რომელსაც რვა გუნდი გაითამაშებს. და აი, გუშინ გერმანიის ქალაქ აახენში შედგა საკვალიფიკაციო ეტაპის ფლეი-ოფის კენჭისყრა, რომლის შედეგებსაც გთავაზობთ.*

შოტლანდია – ინგლისი
ისრაელი – დანია
სლოვენია – უკრაინა
ირლანდია – თურქეთი

*პირველი მატჩები 13 ან 14 ნოემბერს გაიმართება, განმეორებითი კი 17 ნოემბერს.*

ევრო-2000-ის შესარჩევი ტურნირის შედეგები იხილეთ მე-5 გვერდზე.

## 2004 წელს პორტუგალიაში

*ასე გადაწყვიტა უეფას აღმასკომის გამსვლელმა სხდომამ გერმანიის ქალაქ აახენში. საქმე ეხება ევროპის ჩემპიონატის მასპინძლის ვინაობას, რაზეც პრეტენზიას აცხადებდნენ ესპანეთის, ავსტრიისა და უნგრეთის ფედერაციები. უეფას აღმასკომმა უპირატესობა მიანიჭა პორტუგალიას. კონტინენტის მომავალი ჩემპიონატის მასპინძლობისთვის გაშლილი კამპანია პორტუგალიელებმა ჩაატარეს ძალიან უბრალო, მაგრამ მრავლისმთქმელი დევიზით: „ჩვენ გვიყვარს ფეხბურთი“. ამასთან, ქვეყნის მთავრობა მზადაა გაიღოს 300 ათასი აშშ დოლარი, რომელიც ძირითადად არსებული სტადიონების კეთილმოწყობას და ახლის მშენებლობას მოხმარდება. პორტუგალიაში პირველად ჩატარდება ევროპის ჩემპიონატი, რითაც ახალ საუკუნეში ძველი სამყაროს ჩემპიონატების ათვლა დაიწყება.*

## მილოცვა აჭარიდან

სეოკ-ის აჭარის რეგიონული ორგანიზაცია საქველოვან 10 წლისთავს ულოცავს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს, მის ადრინდელ და ახლანდელ ხელმძღვანელებს, სეოკ-ის ყველა წევრს, ყველა ოლიმპიელს და სპეციალისტს, საუკუნის ლაურეატებს, რომელთა ღვაწლი 19 ოქტომბერს, საზეიმოდ სეოკ-ის საიუბილეო დღეს აღინიშნება. სეოკ-ის რიგები მუდამ ერთიანი იყო და დარჩება, კვლავაც ვუერთდებით ოლიმპიურ იდეალებს.

**რუსუდან სიხარულიძე,**
**მსოფლიო ჩემპიონი ტანვარჯიშში,**
**საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი,**
**სეოკ-ის აჭარის ორგანიზაციის**
**თავმჯდომარე.**

## ფიფას ახალ რეიტინგში 62-ე ვართ!

ფიფას მიერ გამოქვეყნებულ ახალ რეიტინგში კვლავ ბრაზილია ლიდერობს – 839 ქულა. მეორეა – ჩეხეთი – 771, მესამე – საფრანგეთი – 768. საქართველო კვლავ 62-ე ადგილზეა – 488 ქულა. ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან ჩვენზე წინ არიან: რუსეთი (მე-19 ადგილი) – 639, უკრაინა (23) – 618, ლიტვა (45) – 540, ჩვენს შემდეგ მოდიან: ლატვია (64) – 483, ესტონეთი (72) – 451, უზბეკეთი (80) – 440, სომხეთი (87) – 423, ბელარუსი (96) – 394, აზერბაიჯანი (74) – 388, ყაზახეთი (117) – 297, ტაჯიკეთი (130) – 250, ყირგიზეთი (160) – 140. სიის ბოლოშია ანგოლა და მონსტერი (ორივე – 201) – 3-3.

## ინგა თავდიშვილის ლიცენზიის საკითხი დადებითად შეიძლება გადაწყდეს

იმის გამო, რომ ოლიმპიურ თამაშებში შეზღუდულია ანუ ზუსტადაა განსაზღვრული მონაწილე სპორტსმენთა რაოდენობა, შესაბამისი საერთაშორისო ფედერაცია თავის მხრივ კვოტებს აწესებს. ასეა მხატვრულ ტანვარჯიშშიც. მოხვდება თუ არა თამაშებზე ჩვენი წარმომადგენელი ინგა თავდიშვილი, სულ მალე გადაწყდება...

ლიცენზია თავდიშვილმა ჩინეთში გამართულ მსოფლიო პირველობაზე ვერ მოიპოვა – XXV ადგილზე გავიდა, ლიცენზიას კი I-XXIV ადგილები იძლეოდა. გარდა ამისა, თამაშებში სიძლიერის მიხედვით პირდაპირ დაიშვება მსოფლიოს პირველი ხუთი გუნდის 2-2 წარმომადგენელი და შემდეგი 9 საუკეთესო სპორტსმენი, კონტინენტებიდან – თითო უძლიერესი ტანმოვარჯიშე. აზიიდან და ამერიკის კონტინენტიდან 2 ადგილი უკვე შეივსო (ჩინელი და კანადელი), დანარჩენი კონტინენტებიდან ჯერ გაურკვეველია თუ ვინ გაემგზავრება სიდნეიში. ევროპაში ყველაზე საუკეთესო შედეგი აქვს ინგა თავდიშვილს, თუმცა სიძლიერის მიხედვით ვერ აკმაყოფილებს შესაბამის სალიცენზიო მოთხოვნას.

სეოკ-მა და ტანვარჯიშის ფედერაციამ საერთაშორისო ფედერაციას წერილით მიმართეს გასცენ ლიცენზია თავდიშვილზე, ვინაიდან იგი სხვებზე წინაა ევროპაში (შეგახსენებთ ზემოთქმულს, რომ 5 უძლიერესი ქვეყნის წარმომადგენლები პირდაპირ დაიშვებიან: რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი და ა.შ.). თავდიშვილის უახლოესი კონკურენტია იუგოსლავიის წარმომადგენელი – 66 ადგილი. საერთაშორისო ფედერაციას იუგოსლავიელებმაც მიმართეს, ლიცენზიის გაცემის თაობაზე...

ნატო ოსეფაშვილი

7

საარჩევნო ბლოკი
„მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“

ამ ბლოკში შედის პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველო“!

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს – საქართველო გადაარჩენს სპორტს!

ბლოკი „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“, №7 – ენდეთ ამ ადამიანებს!

### ძიუდო მსოფლიო ჩემპიონატი

## შოთა ხაბარელი: „ოლიმპიადის ლიცენზიებს ყველა წონით კატეგორიაში მოვიპოვებთ“



როგორც უკვე ვიუწყებოდით, ინგლისის ქალაქ ბირმინგემში დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონატი ძიუდოში, რომელშიც ჩვენი ქვეყნის რვა უძლიერესი ძიუდოისტი იღებდა მონაწილეობას. მათი გამოსვლების შესახებ კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს, **შოთა ხაბარელს.**

● ***ძიუდოს ჭეშმარიტი გულშემატკივარნი, სპორტული საზოგადოებრიობის, მასმედიის წარმომადგენლები, მოუთმენლად ელოდნენ ინფორმაციას ინგლისიდან. ჩვენი დელეგაციის ნადავლია სიდნეის ოლიმპიადის ორი ლიცენზია, რაც ორი ბრინჯაოს მედლის საფასურად მივიღეთ... რა შეფასებას მისცემდით ჩვენების შედეგებს?***

— პირველ რიგში, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ბირმინგემის მსოფლიოს ჩემპიონატს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. საქმე ისაა, რომ მსოფლიოს უძლიერესი ძიუდოისტები მედლების მოპოვებასთან ერთად, სიდნეის ოლიმპიადის ლიცენზი-

იხ. მე-2 გვ.

# შოთა ხაბარელი: „ოლიმპიადის ლიცენზიებს ყველა წონით კატეგორიაში მოვიპოვებთ“

(პირველი გვერდიდან)

ებსაც ეცილებოდნენ ერთმანეთს. ამის გამო ჩემპიონატზე საასპარეზოდ 87 ქვეყნის 580-ამდე ძიუდოისტმა მოიყარა თავი, რამაც აქამდე არნახული კონკურენცია გამოიწვია, მედლები წილად ხვდათ მხოლოდ 21 ქვეყნის ათლეტებს. მედლების გარეშე დარჩნენ ახლახან ბრატისლავაში გამართული ევროპის ჩემპიონატის ორი ოქროს მფლობელი იტალიელი ძიუდოისტები და წინა მსოფლიო ჩემპიონატის ორი ოქროს მედალოსანი პოლონელი სპორტსმენები. მათი ბედი გაიზიარეს გერმანიის, უნგრეთისა და ესპანეთის ძიუდოისტებმა, ხოლო ინგლისის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ბელგიის, ბრაზილიისა და არგენტინის ქვეყნებს წილად თითო მედალი ხვდათ, ეს იმ დროს, როდესაც ამ ქვეყნებში ძიუდო ფეხბურთის შემდეგ ნომერ მეორე სპორტის სახეობად ითვლება. ასეთ უშეღავათო კონკურენციაში საქართველოს ძიუდოისტებმა ორი ბრინჯაოს მედალი და სიდნეის ოლიმპიადის ორი საგზური გაინაღდეს, ხოლო მედლების მხრივ მეექვსე ადგილზე გავედით. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ კარგად გამოვედით, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ყოველივე ზემონათქვამს, ჩვენი გამოსვლა, ვფიქრობ, დამაკმაყოფილებელია.

● ***მკითხველს რომ საფუძვლიანი წარმოდგენა შეექმნას, გთხოვთ დაწვრილებით გვიამბოთ თითოეულ მონაწილეზე, წონითი კატეგორიების მიხედვით.***

— **ნესტორ ხერგიანმა 60 კგ.** წონით კატეგორიაში იასპარეზა და ევროპის ჩემპიონობას და პრიზიორობას მსოფლიო ჩემპიონატის მესამე პრიზიორობაც მიუმატა. ვთვლი, რომ იგი დღეს მსოფლიოში ყველაზე უძლიერესი სპორტსმენია. მან 6 შეხვედრა ჩაატარა, აქედან 5 მოიგო, წააგო მხოლოდ ერთი — ფინალში გასასვლელი შეხვედრა მსაჯების დახმარებით კუბელ მანიოლა პაულტოსთან. საქმე იმაშია, რომ ნესტორი ამ შეხვედრას იგებდა „ვაზარით“. მსაჯებმა კუბელის მიერ ჩოქბჯენიდან ჩატარებული ილეთი „იპონით“ შეაფასეს, რაც ძიუდოს წესებით არ შეიძლება. ხერგიანმა დამამშვიდებელ ჯგუფში ბრინჯაოს მედლისათვის ბრძოლაში იოლად სძლია მონღოლ ფალავანს და მედალთან ერთად ოლიმპიადის საგზურიც მოიპოვა. ახლა იგი ოლიმპიადამდე სპეციალური გეგმით ივარჯიშებს. სპორტული მომზადების დონე რომ შეინარჩუნოს, რამდენიმე ტურნირში და ევროპის ჩემპიონატზე მივაღებინებთ მონაწილეობას.

**გიორგი ვაზაგაშვილი 66 კგ-ში** ასპარეზობდა. გულდასაწყვეტია, რომ ასეთი სიძლიერის ძიუდოისტი უმედლოდ დარჩა. იგი პირველსავე შეხვედრაში ორი „კოკით“ უგებდა იაპონური წარმოშობის ესპანელ იუსიუ უმაციოს, მაგრამ მსაჯებმა შეხვედრის ბედი „ჰანტეით“ გადაწყვიტეს ესპანელის სასარგებლოდ, რომელმაც შემდეგი შეხვედრა წააგო და გიორგიც გამოეთიშა ჩემპიონატს. მიუხედავად ამისა, მისი იმედი მაქვს. გიორგის შესწევს ძალა, რომ ლიცენზიაც მოიპოვოს და სიდნეის ოლიმპიადაზეც წარმატებით იასპარეზოს.

**გიორგი რევაზიშვილს მისთვის უჩვეულო 73 კგ-ში** მოუწია გამოსვლა. პირდაპირ ვიტყვი, რომ მან გმირობა ჩაიდინა. როგორც გულშემატკივრებმა იციან, 66 კგ-ში ორი თანაბარი სიძლიერის ძიუდოისტი გვყავს, ამის გამო გადავწყვიტეთ რევაზიშვილს ზედა წონაში ესპარეზა. ჩვენს ტაქტიკურ ჩანაფიქრს მისი მოწინააღმდეგენი არ ელოდნენ და მოუხელთებელ გიორგის ვერაფერი დაუპირისპირეს. მან ხუთი შეხვედრა წმინდად მოიგო, მათ შორის დაამარცხა მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი იაპონელი კანტო ნაკამურა, ევროპის ჩემპიონატების პრიზიორები მოლდაველი ანდრეი გოლბანი და ბელორუსი ანატოლი ლარიუკოვი, ბრინჯაოს მედლისათვის შეხვედრაში კი წმინდად დაამარცხა უნგრელი ილუეს მიკლასი. მან მხოლოდ ერთი შეხვედრა წააგო გაფრთხილებით, ისიც ამ ჩემპიონატში გამარჯვებულ ამერიკელ ჯიმი პედროსთან. გიორგიმ დაამტკიცა, რომ შეუძლია შედეგი აჩვენოს 66 და 73 კილოგრამ წონით კატეგორიებში. იგი მებრძოლი თვისებების ძიუდოისტია, რომლისგანაც თანაგუნდელებმა მაგალითი უნდა აიღონ. მას ლიცენზია უკვე განაღდებული აქვს. ახლა საჭირო იქნება რევაზიშვილმაც და ვაზაგაშვილმაც 66 კგ-ში მოიპოვონ ლიცენზია, რის შემდეგაც წონის არჩევის უპირატესობა ეძლევა რევაზიშვილს.

**სოსო ლიპარტელიანმა, რომელმაც 81 კგ-ში** აჭიდავა, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე ფეხის ტრავმა მიიღო და საწვრთნელი ვარჯიშებიც ნორმალურად ვერ ჩაატარა. იგი პირველ შეხვედრას იგებდა „სამი „იუკოთი“, მაგრამ მესამე წუთზე მოიხსნა ორთაბრძოლიდან პასიური ჭიდაობისათვის, რის შემდეგაც მისმა მოწინააღმდეგემ მომდევნო შეხვედრა წააგო და სოსო გამოეთიშა მსოფლიო ჩემპიონატს. იგი გამოცდილი და მონდომებული ძიუდოისტია და თავს არ ზოგავს შედეგის მისაღწევად, მაგრამ ზემოხსენებულმა ტრავმამ ძალზე შეუშალა ხელი ლიცენზიის მოპოვებაში.

**გიორგი გუგავას (90 კგ)** მონაცემები იძლევა იმის საფუძველს, რომ მას ჰქონდეს ევროპის და მსოფლიო ჩემპიონატის მედლების მოპოვების პრეტენზია, მაგრამ მან, ჯერჯერობით, ფსიქოლოგიური ბარიერი ვერ გადალახა. შეხვედრა წააგო კუბელ დესპანე ოსვალთან, რომელთანაც სამი შეხვედრა აქვს ადრე მოგებული, ამ მარცხამდე ჩვენმა ათლეტმა სამი ბრძოლა მოიგო ძალზე ძლიერ მეტოქეებთან. ოსვალდთან მოგების შემთხვევაში ლიცენზია განაღდებული ჰქონდა, საბოლოოდ იგი IX ადგილზე გავიდა. ჩემი აზრით, მისი წაგება განაპირობა იმ ფაქტმაც, რომ კუბელ ძიუდოისტთან შეხვედრამდე ვერ დაისვენა, რადგან 5 წუთიც კი არ იყო გასული, რომ დაღლილი გიორგი ტატამზე გამოიძახეს. მიუხედავად მისი წარუმატებელი გამოსვლისა, მე მასზე დიდ იმედებს ვამყარებ.

**ივერი ჯიქურაული (100 კგ)** საკმაოდ გამოცდილი ძიუდოისტია, მაგრამ, სამწუხაროდ, ნაცვლად წინსვლისა, პოზიციებს თანდათან თმობს. ამ ჩემპიონატზე მას ჰქონდა რეალური შანსი საპრიზო ადგილზე გასვლისა, მაგრამ ისეთი ტაქტიკური შეცდომა მოუვიდა ბელარუს ლეონიდ სვირიდთან, რომელსაც დამწყები, ახალბედა ძიუდოისტი არ დაუშვებდა. სვირიდმა თავის მხრივ მოუგო მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს პოლონელ პაველ ნასტულას. ივერის რომ მოეგო მოლდაველთან შეხვედრა, გზა ეხსნებოდა ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად. მიუხედავად ამისა, მჯერა, რომ იგი თავდაუზოგავი ვარჯიშით შეძლებს დასახული მიზნის შესრულებას.

**რამაზ ჩოჩიშვილს (მძიმე წონა)**, მართლაც რომ სპორტული იღბალი არ აქვს. უკვე მეხუთე ოფიციალური შეჯიბრებაა, რომელშიც პირველივე შეხვედრა უწევს მისთვის უხერხულ მეტოქესთან, ევროპის სამგზის ჩემპიონთან და მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორთან თურქ სელიმ თათაროღლისთან, რომელთანაც ყოველთვის აგებს. რამაზისთან გამარჯვების შემდეგ თათაროღლი შეხვდა იაპონელ შინეტი შინახორას (შეგახსენებთ, რომ მან მსოფლიო ჩემპიონატზე ორი ოქროს მედალი მოიპოვა მძიმე და აბსოლუტურ წონით კატეგორიებში), წააგო მასთან ორთაბრძოლა და ბუნებრივია რამაზი გამოეთიშა შეჯიბრებას. გულდასაწყვეტია, რომ რამაზი ამ ჩემპიონატისათვის კარგად იყო მომზადებული და არ მიეცა საშუალება გამოევლინა თავისი შესაძლებლობა. მას, როგორც დანარჩენ თანაგუნდელებს, აქვს შანსი თავი გამოიჩინოს სალიცენზიო ტურნირებში და ევროპის ჩემპიონატზე, რათა მოიპოვოს სიდნეის საგზური.

**ალექსი დავითაშვილმა (აბსოლუტური წონა)** ყველა მოლოდინს გადააჭარბა. მან პირველ წრეში დაამარცხა რუსეთის გოლიათი მოჭიდავე თემურ ბუჩუკური, რომლის სიმაღლე 210 სმ-ია. მეორე წრეში სძლია ევროპის მრავალგზის პრიზიორს იმრე ჩოსს, მესამეში კი მახრჩობელა ილეთით, ელვისებურად, დაამარცხა ფრანგი პანრიკე როგნო და ფინალში გასასვლელი ორთაბრძოლა მოუწია თურქ სელიმ თათაროღლისთან, რომელთანაც წმინდად დამარცხდა. შემდეგ დამამშვიდებელ ჯგუფში ფეხი იტკინა ჰოლანდიელ ვან დერ გესტთან და საბოლოოდ მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა. სამწუხაროდ, აბსოლუტურ წონაში ლიცენზიები არ თამაშდებოდა. მისი გამოსვლით კმაყოფილი ვარ. იგი რამაზ ჩოჩიშვილთან ერთად ჩაერთვება ევროპის ჩემპიონატში და სალიცენზიო ტურნირებში. მათგან ვინც მეტ ქულებს დააგროვებს, ის იასპარეზებს სიდნეის ოლიმპიადაზე.

● ***თუ შეიძლება გაგვანდოთ თქვენი პროგნოზი, რამდენი სპორტსმენით ვაპირებთ ასპარეზობას სიდნეის ოლიმპიადაზე?***

— ვფიქრობ, ლიცენზიას შვიდივე წონით კატეგორიაში მოვიპოვებთ.

● ***ვინ იქნებიან ჩვენი ძიუდოისტებიდან მედლების რეალური კანდიდატები?***

— ვფიქრობ, ჩვენ შევძლებთ 4 ან 5 მედლის მოპოვებას. გვარების დასახელებაზე შეგნებულად თავს ვიკავებ. მთავარია, იყოს სათანადო ხელისშეწყობა, რის გარეშეც ოცნება ოცნებად დარჩება.

ესაუბრა
იური იმერლიშვილი




გუშინ, 14 ოქტომბერს, მცხეთობის დღესასწაულზე სვეტიცხოვლის ტაძარში საეკლესიო რიტუალის შემდეგ, საქართველოს ძველ დედაქალაქში გაიმართა კულტურული და სპორტული ღონისძიებები. მცხეთა-მთიანეთის რეგიონული და რაიონის სპორტკომიტეტებმა (ვ. გრძელიშვილი) ჩაატარეს შეჯიბრებები ფეხბურთში, ჭიდაობასა და ნიჩბოსნობაში. სპორტულ სანახაობებს უამრავი მაყურებელი დაესწრო.

„საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“ – ქვეყნის ნინსვლის, კეთილდღეობის, პიროვნული თავისუფლების, სტაბილიზაციისა და უშფოთველი ცხოვრების გარანტი! მოქალაქეთა კავშირი №1, პირველი – მრავალთა შორის.

## ღიმილიანი და სერიოზული სტრიქონები

### შეარჩიეთ ჩემპიონი ფრაზა

● **ლევან თედიაშვილი**: ქართული ჭიდაობის ფედერაციას „ქართული ჭიდაობის მევველთა ფედერაციას“ დავარქმევდი („ფალავანი“, №14).

● **„ბოსკამპს** ბელგიის ფეხბურთის ფედერაციისგან ამ ქვეყნის გუნდებთან მუშაობის უფლება ჰქონდა ჩამორთმეული, რადგან ერთ-ერთი მატჩისას, მსაჯს უკადრებელი აკადრა („სპორტის სიახლენი“, №160).

● **ზურაბ ტომარაძე** (კალათბურთში ვაჟთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელი): ამჟამად ფედერაციაში კომერციული სტრუქტურების რეორგანიზაცია მიმდინარეობს და, ვფიქრობ, არც ის დროა შორს, როცა მოთამაშეები არა სიმბოლურ, არამედ სოლიდურ გასამრჯელოს მიიღებენ („სარბიელი“, №197).

● **ალბანელებთანაც** შეგვძლებია წაგება... („ახალი თაობა“, №280).

● **კალათბურთი.** ფინანსურად ძლიერმა გუნდმა აჭარაში თბილისური გუნდების წამყვანი კალათბურთელები გადაიბირა („დილის გაზეთი“, №233).

## მატიანე
### რა ხდებოდა 50 წლის წინათ

● ***1949 წლის*** ოქტომბერში თბილისს ეწვივნენ ჩეხი მოჭიდავეები. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ეს მატჩი სახელმწიფო ცირკში გაიმართა. გამარჯვება ჩვენებიდან მოიპოვეს ვალერიან ვეშაგურმა, ილია ბობოხიძემ, ვასილ ილურიძემ, გივი კარტოზიამ, დავით ციმაკურიძემ, კონსტანტინე კობერიძემ, არსენ მეკოკიშვილმა, დამარცხდა ანდრია ჭელიძე. 7:1 გაიმარჯვეს ქართველმა ფალავნებმა.

● ***შეიქმნა*** მოტოსპორტის სექცია (ფედერაცია) ვ. ნავრუზაშვილის თავმჯდომარეობით. მწვრთნელთა საბჭოს სათავეში ჩაუდგა ა. ხაბურზანია.

● ***ზუგდიდელმა*** ცხენოსნებმა ზედიზედ მეორედ მოიპოვეს ლ. ბერიას სახელობის თასი ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში. თასი დაწესდა 1940 წელს. პირველებმა იგი გუდაუთელმა მხედრებმა დაიმსახურეს, 1944 და 1948 წელს ზუგდიდელებმა, 1945-46 წლებში — ცხაკაიელებმა, 1947 წელს — ფოთელებმა.

● ***თბილისის*** „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდმა სსრ კავშირის თასზე პირველ მატჩში სტუმრად სძლიეს ზაპოროჟიეს „ლოკომოტივს“ 3-1.

● ***ტანვარჯიშში*** ამიერკავკასიის ჩემპიონები გახდნენ ქალთა შორის ც. მაჭარაშვილი, ვაჟებში ა. ჯორჯაძე. მ. ჯუღელი ქალებში მეორე იყო, ვაჟებში მეორე ადგილი თ. სანებლიძეს ხვდა. მესამე — ა. ალფაიძეს.

## საქართველოს რომ ფალავნები ჰყოლია

ტოკიო 1953 წ. მსოფლიო ჩემპიონატი.

მარცხნიდან: მირიან ცალქალამანიძე, ვალიკო ბიბიაძე, ნიკოლოზ მუზაშვილი, სერგო გაბარაევი, ვახტანგ ბალავაძე, გივი კარტოზია, ავგუსტ ენგლასი, არსენ მეკოკიშვილი.



ფოტო „ლელოს“ არქივიდან.

## საქართველოს XI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## „ბ“ ზონა

როგორც იქნა, ეროვნული ჩემპიონატის ცხრილში, ჩატარებული თამაშების გრაფაში გამოტოვებული მატჩების გამართვის შემდეგ, ყველა სტრიქონი შეივსო და აშკარა გახდა, ვის რა აქვს თავმოსაწონი და... თავშისაცემი. „ბ“ ზონის გამოტოვებულ მატჩში, მცხეთაში თსუ-მ ქუთაისის „ტორპედოს“ უმასპინძლა. წინა 6 ტურში სტუდენტებს მხოლოდ ერთი წაგება ჰქონდათ და არც ერთ მატჩში არ მიუღიათ საკუთარ კარში ერთზე მეტი ბურთი. ახლა კი, წაგებაც იწვნიეს და ორი უპასუხო გოლის სიმწარეც, 2-0 ტორპედოელთა სასარგებლოდ, ასე დამთავრდა ეს შეხვედრა.

### თსუ — ტორპედო 0-2 (V ტური)

**თსუ:** მერლანი, სვანაძე, ნინუა, ახალაძე (ფარქოსაძე, 46), წუწუნავა, დეკანოსიძე, მესხი (ადამია, 63), გ. გვაზავა (თ. ბოკერია, 68), ერაძე, არჩვაძე, კვიციანი.

**ტორპედო:** ჭანტურია, იონანიძე, ხვადაგიანი, მალლაკელიძე, შეყრილაძე, კვეტენაძე (მახვილაძე, 62), გოგიაშვილი, მეგრელაძე (ვაჩიბერიძე, 68), ჩხეტიანი, ჯანაშია, თურმანიძე.

**მსაჯი:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

**გოლები:** დ. ჯანაშია (12), ხვადაგიანი (39).

**გაფრთხილება:** შეყრილაძე, გოგიაშვილი.

### I წრის შედეგები:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 7 | 6 | 1 | 0 | 18-5 | 19 |
| კოლხეთი (ფ) | 7 | 4 | 0 | 3 | 9-11 | 12 |
| დილა | 7 | 3 | 2 | 2 | 10-8 | 11 |
| იბერია | 7 | 2 | 2 | 3 | 5-9 | 8 |
| გორდა | 7 | 2 | 1 | 4 | 6-7 | 7 |
| თსუ | 7 | 1 | 4 | 2 | 4-6 | 7 |
| მერანი | 7 | 1 | 4 | 2 | 8-9 | 7 |
| კოლხეთი (ხ) | 7 | 1 | 2 | 4 | 7-12 | 5 |



## გამოტოვებული მატჩები

### „ა“ ზონა

### თბილისი — ლოკომოტივი 1-2 (VI ტური)

13.10.99. თბილისი. „ბორის პაიჭაძის“ სახელობის სტადიონი. 1500 მაყურებელი.

**თბილისი:** ა. ჩიხრაძე, რუხაძე (ნორაკიძე, 86), ჭემოკლიძე (ებრალიძე, 46), აბრამიძე, გველესიანი, ზამთარაძე, კვარაცხელია, გ. მიქაძე, ბ. შენგელია (ისიანი, 50), ვ. გაგუა, ლ. მელქაძე.

**ლოკომოტივი:** ასლანაძე, ჩიხრაძე, ამაშუკელი, კაციაშვილი, გოგიჩაიშვილი (დ. ბაქრაძე, 46), კ. მელქაძე, ლ. მიქაძე, ქობულაძე, ჩომახიძე, (ბარნოვი, 68), ქებაძე, რუსია (იაგორაშვილი, 78).

**გოლები:** 0-1 ამაშუკელი (1), 0-2 ქებაძე (83), 1-2 ვ. გაგუა (88).

**მსაჯი:** მ. მალაღურაძე (თბილისი)

**გაფრთხილება:** კაციაშვილი, კვარაცხელია.

ინტრიგა საკმაოდ დიდი გახლდათ. „ლოკომოტივს“ ამ მატჩში მაინც უნდა დაემტკიცებინა, რომ „ა“ ზონის ბოლო საფეხურზე ყოფნა მისთვის მხოლოდ შემთხვევითობაა, ხოლო ჭაბუკ „თბილისელებს“ უნდა ეცადათ, რათა წარმატებითი სერია გაეგრძელებინათ. როგორც ჩანს, უეფას თასზე შერცხვენილი რკინიგზელები ნელ-ნელა გონს მოდიან, რაშიც უეჭველია, მწვრთნელ თემურ მახარაძის გუნდში დაბრუნებასაც მიუძღვის წვლილი. ამ შეხვედრაში მან ათამაშა ახალწვეულები იაგორაშვილი და ამაშუკელი. ამ უკანასკნელმა კი „ლოკოს“ მაისურის მორგება ძვლივს მოასწრო, რომ გოლის გატანა მოახერხა. მისი დარტყმული ბურთი „თბილისელთა“ ნახევარმცველს ოლეგ გველესიანს მოხვდა და ანგარიშიც თამაშის პირველივე წუთზე გაიხსნა. საერთოდ, ამაშუკელი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ამ შეხვედრაში, მან მარცხენა ფრთაზე აშკარად დაჯაბნა „მეურვე“, პასებსაც დროულად არიგებდა, მაგრამ რკინიგზელთა თავდამსხმელი რუსია ამ დღეს საკმაოდ აშკარად ვერ იყო გოლის იშტაზე მოსული. მან რამდენიმე ასპროცენტიანი მომენტი გაატანა ქარს. პირველ ნახევარში „თბილისის“ ფეხბურთელებს ვერც ერთი ხეირიანი კომბინაცია ვერ გამოუვიდათ, მაგრამ მეორე ტაიმი უფრო ენერგიულად დაიწყს. ლევან მელქაძეს ჰქონდა გოლის გატანის შანსი, მაგრამ მეკარესთან თითქმის პირისპირ დარჩენილმა მიზანს ააცილა ბურთი.

„ლოკომოტივის“ მოთამაშეთაგან მეორე ტაიმი ალმავლობით ჩაატარა კაციაშვილმა, რომელმაც მარჯვენა ფრთაზე გაილაღა და ქებაძის მეორე გოლიც მისი დახმარებით გავიდა. აქ თითქოს საქმე მოთავებულად უნდა ჩაგვეთვალა, მაგრამ თბილისელთა თავდამსხმელმა ვალერი გაგუამ ულამაზესი გოლი გაიტანა. მან შორი მანძილიდან ძლიერად „გაისროლა“ და „ათიანში“ მოარტყა 1-2. ამით დასრულდა კიდეც შეხვედრა, რამაც ცხადლივ დაგვანახვა, რომ „ლოკომოტივის“ ჩამოწერა ჯერ ნაადრევია.

**ილია ნანობაშვილი**

### I წრის შედეგები:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ.) | 7 | 5 | 0 | 2 | 13-6 | 15 |
| ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 1 | 2 | 10-5 | 13 |
| დინამო (ბთ) | 7 | 2 | 5 | 0 | 3-1 | 12 |
| თბილისი | 7 | 2 | 3 | 2 | 14-12 | 9 |
| სიონი | 7 | 2 | 2 | 3 | 4-9 | 8 |
| ლოკომოტივი | 7 | 2 | 2 | 3 | 7-16 | 8 |
| სამგურალი | 7 | 2 | 1 | 4 | 5-10 | 7 |
| არსენალი | 7 | 1 | 2 | 4 | 6-8 | 5 |

## VIII ტურის ანონსი

### „ა“ ზონა (II წრე)

***16 ოქტომბერი. დინამო (თბ) — დინამო (ბთ)***

I ჩემპიონატი: 3-1 და 0-2; II — 3-0; III — 3-1 და 0-0. IV — 2-0 და 2-1; V — 3-0 და 3-2; VI — 5-3 და 4-2; VII — 3-1 და 1-1; VIII — 1-0 და 3-3; IX — 2-0 და 0-1; X — 1-1 და 0-0; XI — 0-1. სულ 20 მატჩი: 12. 5. 3 ბურთები 39-20.

*პროგნოზი:* 50-30-20

***16 ოქტომბერი: ვიტ-ჯორჯია — სამგურალი***

IX ჩემპიონატი: 2-0 და 0-3; X — 3-0 და 3-1; XI — 1-0. სულ 5 მატჩი: 4. 0. 1. ბურთები: 9-4.

*პროგნოზი:* 70-20-10.

***17 ოქტომბერი: არსენალი — ლოკომოტივი***

X ჩემპიონატი 0-0 და 1-2; XI — 2-2. სულ 3 მატჩი: 0. 2. 1. ბურთები: 3-4

*პროგნოზი:* 20-30-50.

***17 ოქტომბერი: თბილისი — სიონი***

XI ჩემპიონატი: 2-2.

*პროგნოზი:* 60-20-20.

### „ბ“ ზონა (II წრე)

***16 ოქტომბერი: კოლხეთი (ხობი) — კოლხეთი-1913.***

I ჩემპიონატი: 2-0 და 0-0. II — 1-3. III — 4-2 და 1-6; XI — 3-2. სულ 6 მატჩი: 3.1.2. ბურთები: 11-13.

*პროგნოზი:* 30-30-40.

***16 ოქტომბერი: მერანი-91 — იბერია***

VIII ჩემპიონატი: 3-1 და 0-1; X — 0-0 და 0-2; XI — 1-1. სულ 5 მატჩი: 1.2.2. ბურთები: 4-5.

*პროგნოზი:* 50-30-20.

***16 ოქტომბერი: ტორპედო — გორდა***

I ჩემპიონატი: 3-0 და 1-2; II — 0-1; III — 0-1 და 1-2; IV — 3-0 და 1-3; VI — 2-1 და 2-3; VII — 2-0 და 3-4; VIII — 4-3 და 1-3; IX — 4-0 და 0-0. X — 7-1 და 4-0; XI — 2-0. სულ 18 მატჩი: 9.1.8. ბურთები: 40-24.

*პროგნოზი:* 80-10-10.

***17 ოქტომბერი: თსუ — დილა***

I ჩემპიონატი: 1-0 და 0-0; II — 1-1; III — 1-0 და 2-5; IV — 3-1 და 1-0. V — 1-0, 1-2, 3-0 და 1-2; VI — 0-0 და 0-1. VII — 3-0 და 1-1. VIII — 1-1 და 1-2. IX — 2-0 და 0-2. X — 0-0 და 0-1. XI — 1-1. სულ 22 მატჩი: 8. 7. 7. ბურთები: 24-20.

*პროგნოზი:* 40-30-30.

**ვეფხვია ჯლაღონია,**
აფხაზეთი. ს. ფშაფი

## პოლიტიკური გაერთიანება „სპორტული საქართველოს“ თასის გათამაშება მინიფეხბურთში

### A ჯგუფი

**XIV ტურის შედეგები**

მაესტრო — ლიდერი 6-1, ფალავანი — სარბიელი 2-6, ვაკე-75 — მთაწმინდა 0-3, პლატო-99 — ვერა 2-17, მეტეხი — დიდუბე 5-3, მილანი — ვაკე-1 4-2

**გათამაშების ცხრილი:**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაესტრო | 14 | 13 | 0 | 1 | 68-40 | 39 |
| 2. მეტეხი | 14 | 11 | 1 | 2 | 57-25 | 34 |
| 3. ფალავანი | 14 | 10 | 2 | 2 | 80-26 | 32 |
| 4. მთაწმინდა | 14 | 10 | 2 | 2 | 74-30 | 32 |
| 5. ვერა | 14 | 9 | 2 | 3 | 66-29 | 29 |
| 6. ვაკე-1 | 14 | 9 | 0 | 5 | 71-32 | 27 |
| 7. სარბიელი | 14 | 9 | 0 | 5 | 61-55 | 27 |
| 8. დრონი | 13 | 8 | 2 | 3 | 38-22 | 26 |
| 9. დიდომი | 13 | 7 | 3 | 3 | 43-28 | 24 |
| 10. კავკასიონი | 14 | 8 | 0 | 6 | 49-40 | 24 |
| 11. სპ.საქართ. | 13 | 7 | 2 | 4 | 44-35 | 23 |
| 12. მილ.ავლ. | 14 | 7 | 1 | 6 | 53-61 | 22 |
| 13. მეტროპოლ. | 13 | 6 | 1 | 6 | 40-32 | 19 |
| 14. 7 დღე | 14 | 5 | 0 | 9 | 28-40 | 15 |
| 15. დიდუბე | 14 | 3 | 2 | 9 | 51-65 | 11 |
| 16. ვაკე-75 | 14 | 2 | 1 | 11 | 21-54 | 7 |
| 17. პლატო-99 | 14 | 2 | 0 | 12 | 29-128 | 6 |
| 18. ლიდერი | 14 | 1 | 1 | 12 | 27-69 | 4 |
| 19. თემქა | 14 | 1 | 0 | 13 | 32-58 | 3 |
| 20. სონიკი | 14 | 0 | 0 | 14 | 26-89 | 0 |

**ბომბარდირები:**

1. კოკა რუსაძე (მთაწმინდა) — 42
2. კოკა ბიბილეიშვილი (ვაკე-1) — 37
3. ემზარ ბედინეიშვილი (ფალავ.) — 33
4. რამაზ დვალიშვილი (მილანი) — 27
5. ლექსო მარგიანი (მეტეხი) — 26
6. ჯამბულ ხასაია (დიდუბე) — 23
7. გიორგი ალთუნაშვილი (დრონი) — 19
8. ლევან გოგრიჭიანი (მაესტრო) — 19
9. გია ჭყონია (მაესტრო) — 17
10. ლევან ევგენიძე (მეტეხი) — 16
11. დათო კუჭავა (ვერა) — 16
12. კახა თალაკვაძე (სარბიელი) — 16.

**XV ტური**

*16 ოქტომბერი, შაბათი*

12.00 სარბიელი — დიდომი
12.50 მეტეხი — მაესტრო
13.40 ფალავანი — მთაწმინდა
14.30 დრონი — ვაკე-1

*17 ოქტომბერი, კვირა*

12.00 მილანი — ვერა
13.40 სპორტ. საქართ. — კავკასიონი
14.30 დრონი — მეტროპოლიტენი
15.20 პლატო-99 — 7 დღე

### B ჯგუფი

**VII ტური**

სახალხო ვერა — სპორტ. საქართ.-2 3-0, ლოკომოტივი — ვეძა 7-1, ორბი — ავლაბარი 6-2, მაქსი — ნაძალადევი 0-3

**გათამაშების ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლოკომოტ. | 7 | 6 | 1 | 0 | 41-10 | 19 |
| 2. სახალ.ვერა | 6 | 6 | 0 | 0 | 27-4 | 18 |
| 3. ორბი | 7 | 4 | 1 | 2 | 24-12 | 13 |
| 4. ნაძალადევი | 7 | 4 | 1 | 2 | 12-12 | 13 |
| 5. ავლაბარი | 7 | 4 | 0 | 3 | 32-27 | 12 |
| 6. ვეძა | 7 | 3 | 0 | 4 | 16-22 | 9 |
| 7. თბილისი | 6 | 1 | 2 | 3 | 15-19 | 5 |
| 8. ირაო | 5 | 1 | 1 | 3 | 8-10 | 4 |
| 9. მაქსი | 7 | 1 | 0 | 6 | 10-31 | 3 |
| 10. სპ.საქ.-2 | 7 | 0 | 0 | 7 | 15-53 | 0 |

**ბომბარდირები**

1. ბადრი სარიშვილი (ავლაბარი) — 22, 2. გოჩა გრძელიშვილი (ლოკომოტივი) — 12, 3. ხვიჩა ჩხიკვაძე (ლოკომოტივი) — 11, 4. გოჩა ფეიქრიშვილი (ლოკომოტივი) — 6, 5. კოტე მიგინეიშვილი (თბილისი) — 6, 6. გიორგი თოთლაძე (სახალხო ვერა) — 5, 7. რეზო დევდარიანი (სახალხო ვერა) — 5, 8. დათო გვარამია (ვეძა) — 5, 9. მამუკა ჭიკაიძე (ორბი) — 5.

მატჩები იმართება „ქარიშხალას“ სპორტკომპლექსში.



# „რაინდულო საქართველოვ, აღსდექ!“

## მთიელთა საბრძოლო სტილი; ძალ-ღონის განმავითარებელ ვარჯიშთა მნიშვნელობა

მეფე არჩილის (XVII საუკუნე) ცნობილ ნაწარმოებებში, უძველეს ქართულ საბრძოლო-ფიზიკურ ვარჯიშთა ჩამონათვალში არის ასევე ქვების ტყორცნაც (არჩილი, თხზ. კრებული ტ.1, თბ. 1936, გვ.5).

ქართველ მთიელთა საბრძოლო-ფიზიკური აღზრდის ძალ-ღონის განმავითარებელ ვარჯიშთა სისტემას განეკუთვნება ქართული ჭიდაობის ძალოვანი სახე, საბრძოლო ხელოვნებების ერთ-ერთი მარგალიტი — სვანური ჭიდაობა „ლიბურგიელ“.

მოჭიდავეებს ტოლი-ტოლზე შეარჩევდნენ. ტანთ ეცვათ სვანური შალის ხალათი, შარვალიც იგივე ნაჭრისა იყო. ქამარი აუცილებელი იყო და არ უნდა ყოფილიყო ძალზე მოჭერილი.

ჭიდაობა იწყება უფროსების გამოძახებით. გამოძახებული მოჭიდავეები ნელა უახლოვდებიან ერთმანეთს, ჩაჰკიდებენ ქამარზე ხელებს, ან უფრო იშვიათად, ცალი ხელით მოეკიდებიან მკლავში. იმ შემთხვევაში, როდესაც მოჭიდავეს ძალის იმედი აქვს, ცდილობს მოწინააღმდეგის წელში ძალით მოტეხვას (ლაჭხუნა ლუშ).

ფეხების მოქმედება „ლიბურგიელში“ თითქმის იგივეა, როგორც ქართლ-კახურ ჭიდაობაში, იციან გარეკაური, წინკაური, მუხლის ჩაკეტვა, თეძოზე წამოღება, მოგვერდი. უნდა ითქვას, რომ მოჭიდავე, რომელსაც თავისი ძალის იმედი ჰქონდა, ფეხებს შედარებით ნაკლებად ხმარობდა. „ლიბურგიელის“ თავისებურებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ჭიდაობის დაწყების მომენტში სისწრაფეს არა აქვს მნიშვნელობა, ვინაიდან მოჭიდავეები მხოლოდ მას შემდეგ იწყებენ ჭიდილს, როდესაც ისინი მარჯვენა მხრებით მიეყრდნობიან ერთმანეთს და წელზე შემორტყმულ ქამარში ჩასჭიდებენ ხელებს.

როდესაც საჭიროა რაიმე ფანდის მოხმარება, ერთ-ერთი მოჭიდავე მუხლებზე ჩაჯდება და ცალი ხელით მიწას ეყრდნობა. სვანები ერიდებიან ჩოქზე დაცემას, ვინაიდან სამჯერ დაჩოქება წაქცევას უდრის.

საერთოდ, სირცხვილად ითვლება დაჩოქილ მდგომარეობიდან წაქცევა. რაც შეეხება მიწაზე დაყრდნობას, ეს დაშვებულია და მოჭიდავეები განაგრძობენ ჭიდილს. წაქცეულად ითვლება ბეჭებზე ან ბეჭზე დაგდებული მოჭიდავე, მკერდზე და გვერდზე დავარდნილიც. ჭიდაობა „ლიბურგიელ“ მეტწილად 2-3-ჯერ წაქცევაზე იმართება (ვ. ელაშვილი, სვანური ჭიდაობა — „ლიბურგიელ“, გაზ. „ლელო“, 3/X, 1957, №119).

საერთოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ სისწრაფე, არც „ლიბურგიელშია“ პატივს მოკლებული, თუ დასაწყისს არ მივიღებთ მხედველობაში. შემდეგ აქაც საჭიროა სწრაფი მოქმედება, ფანდების სწრაფი გამოყენება. სვანური ჭიდაობის ნაირსახეობის სახით შემონახულია ძველი ზოგადქართული ჭიდაობა. ცხადია, ამის გამო ის ძველი, პრიმიტიული ნიშნების მატარებელიც არის. თანამედროვე ქართული ჭიდაობა კი უსათუოდ მისი განვითარებისა და სრულყოფის შედეგია (თ. ონიანი, ქართული ჭიდაობის სვანური ვარიანტი, გაზ. „ლელო“, 17/X, 1957 წ.).

სვანეთში არის ძალოვანი ჭიდაობის ერთი სახესხვაობაც „ლიბუნძგვალ“, რაც მასობრივ-გუნდურ ჭიდაობას ნიშნავს.

ასე რომ, მთიელთა სოფლის მოედნებზე ტარდებოდა საბრძოლო-ფიზიკურ ვარჯიშთა უმრავლესობა: სიარული და რბენა, სხვადასხვა ხტომები, მათ შორის ჭოკით სიგრძეზე ხტომაც; მძიმე ქვების აწევა და გადატანა, ქვების ტყორცნა და გასროლა; ჯირითის (ანუ ჯოხის ან სარის) და მონადირის ხელკეტის — მიჯვრის — ტყორცნა, უპირატესად ჭიდაობა ლიბურგიელ; მშვილდოსნობა, ცეცხლსასროლი იარაღის სროლა და ა.შ. ანუ აქ მიმდინარეობდა საბრძოლო-ფიზიკური ვარჯიშებისა და თამაშების სწავლება და სრულყოფა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მთიელ ახალგაზრდებს — ქვების აწევა, გადატანა, ტყორცნა და ძალოვანი ორთაბრძოლები ეხმარებოდა მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაში, რაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მათ ბუნებრივ დანიშნულებასთან — თავიანთი ოჯახის, საზღვრისა და ქვეყნის დაცვასთან.



„ლიბურგიელ“. ხელების ჩაჭიდება მაღად დგომში



„ლიბერგიელ“. მაღალი დგომიდან გდება





მოჭიდავეები ნელა უახლოვდებიან ერთმანეთს

**ჟური ყეინაშვილი,**
საბრძოლო ხელოვნების ოსტატი.

*სპეციალურად „ლელოსათვის“.*

*(გაგრძელება იქნება)*

დასაწყისი იხ. „ლელოს“ წინა ნომრებში

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## „ქართული ფრაიბურგი“ იბრძვის და იმარჯვებს!

გერმანიის ჩემპიონატის მიმოხილვა

**ძნელი სათქმელია, რა მოხდება შემდეგ, მაგრამ ჯერჯერობით ბუნდესლიგაში ხმა იმ კლუბებმა აიმაღლეს, რომლებიც წინა სეზონებში მაინცდამაინც არ გამოირჩეოდნენ. ეს ითქმის „ჰამბურგერ შპორტფერაინზე“, „ვოლფსბურგზე“ და, რა თქმა უნდა, „ქართულ ფრაიბურგზე“.**

ჯერჯერობით ვერაფრით გამოიჩინა თავი ჩემპიონმა „ბაიერნმა“, რომელსაც წინა პირველობაზე სერიოზული კონკურენცია არც კი ჰქონია. 7 ტურში მან უკვე 2 მატჩი წააგო. მართალია, მწვრთნელი ოტმარ ჰიტცფელდი ჩიოდა, რომ გუნდმა ექვს დღეში სამი მატჩი ჩაატარა და ამდენად, გადაღლილი იყო. ადრე იგი იმასაც უჩიოდა, რომ ძირითადი მეკარე ოლივერ კანი დაშავებულია. მაგრამ აი კანი გამოჯანმრთელდა, და შინ მაინც ვერ იხსნა გუნდი დამარცხებისაგან, და თანაც ვისთან, „შტუტგარტთან“, რომელიც ამ მატჩამდე ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე იყო. სტუმრებმა ერთადერთი ბურთი 11-მეტრიანით (ბალაკოვი) გაიტანეს. უკეთესად ჩემპიონი არც მომდევნო, მეშვიდე ტურის შეხვედრაში გამოიყურებოდა გელზენკირხენში „შალკე 04“-თან — 1-1. კვლავ არ თამაშობს ბასლერი, მწვრთნელი უკმაყოფილოა წამყვანი ფეხბურთელების დიდი ჯგუფის თამაშით, ეჭვს იწვევს ის სისტემატური ცვლილებები, რომელსაც ჰიტცფელდი ხშირად მიმართავს. „შალკესთან“ ფრეს მიუნხენელებმა მხოლოდ უკანასკნელ წუთზე ეფენბერგის გოლის წყალობით მიაღწიეს. „ბაიერნში“ რომ (ჯერჯერობით!) ყველაფერი წესრიგში არ არის, ამას ჩემპიონთა ლიგაში მისი ახლანდელი გამოსვლაც ამტკიცებს. რაც შეეხება ბუნდესლიგას, აქ „ბაიერნი“ 7 ტურის შემდეგ 11 ქულით მეხუთე ადგილზეა.

შარშან დორტმუნდის „ბორუსია“ მეოთხე ადგილზე გავიდა, ახლა იგი 16 ქულით ლიდერობს. ბოლო შეხვედრა დამაჯერებლად — 3-0 მოიგო როსტოვის „ჰანზასთან“, რომელიც ახლა სუსტად თამაშობს და დიდი ძალისხმევაც დასჭირდება ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად („ჰანზას“ ამჟამად არა ჰყავს, ასე თუ ისე, მაღალი კლასის ოსტატები). რაც შეეხება „ბორუსიას“, აქ დაშავებულია ფრედი ბობიჩი, მაგრამ ბოლო ტურში შედეგიანად ითამაშა ფრიად გამოცდილმა ნიგერიელმა ვიქტორ იკპებამ და ორი გოლი გაიტანა, დიდად საიმედოდ თამაშობენ მრავალნაცადი მცველები როიტერი და კოლერი.

მეორე ადგილზე 14 ქულით „ჰამბურგერ შპორტფერაინია“, სადაც მეტისმეტად აგრესიულად მოქმედებს თავდასხმა (17 ბურთი 7 თამაშში). მომდევნო მატჩები, ცხადია, გვიჩვენებენ, თუ რამდენად კანონზომიერია ჰამბურგელთა მიღწევები. ყოველ შემთხვევაში, მწვრთნელმა ფრანკ პაგელსდორფმა, რომ აშკარად ბრძოლისუნარიანი გუნდი ჩამოაყალიბა, ეს ფაქტია, ისე კი, „ჰამბურგის“ მოთამაშეებს ნაკრებში არავინ იწვევს.

„ლევერკუზენის“ ბაიერმა“, ჩემპიონობის ერთ-ერთმა პოტენციურმა პრეტენდენტმა, პირველი 6 ტური დაუმარცხებლად წარმართა და ლიდერიც იყო (თუმცა, ძალიან გაუჭირდა „კაიზერსლაუტერნთან“, მხოლოდ უკანასკნელ წუთებში სძლია). მეშვიდე ტურში „ბაიერმა“ ვოლფსბურგში პირველი დამარცხება იგემა — 1-3. „ვოლფსბურგში“ ამჟამად შედეგიანად თამაშობენ ცნობილი ლეგიონერები ჯონათან აკპობორი (ნიგერია), მას ბუნდესლიგაში კარგი სახელი აქვს და ანჟეი იუსკოვიაკი (პოლონეთი). „ბაიერს“ ამ წაგების შემდეგ 14 ქულა დარჩა და გათამაშების ცხრილში მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

აი, „ფრაიბურგის“ მაღალი ადგილი კი გარკვეული სიურპრიზია. ბოლო ტურში მან ბრემენის „ვერდერს“ მოუგო — 2-1 და 11 ქულით მეოთხე ადგილზეა (3 მოგება, 2 ფრე, 2 წაგება, 15-8). ალექსანდრე იაშვილი და ლევან კობიაშვილი სისტემატურად თამაშობენ, ლევან ცქიტიშვილი კი იშვიათად გამოდის მინდორზე.

აქამდე გამართულ მატჩებს შორის კი, როგორც კურიოზულს, გამოყოფენ მეხუთე ტურის შეხვედრას მაინის ფრანკფურტში „აინტრახტსა“ და მიუნხენის „ბაიერნს“ შორის. მიუნხენელთა მცველი სამუელ კუფური საკუთარ მეკარე ოლივერ კანს ისე სასტიკად დაეჯახა, რომ მწყობრიდან გამოიყვანა. კანი მეორე მეკარე ბერნდ დრეერმა შეცვალა, რომელმაც სულ მალე ტერფი დაიზიანა და მასაც მოუხდა მინდვრის დატოვება. ამ მომენტში „ბაიერნი“ აგებდა ანგარიშით 0-1 და თანაც შეცვლის ლიმიტიც ამოწურული ჰქონდა. მეტი რაღა ჯანი იყო, კარში ჩადგა ცნობილი მცველი მიხაელ ტარნატი და ჩინებულადაც ითამაშა. მისმა დამაჯერებელმა მოქმედებამ „ბაიერნის“ ფეხბურთელები აღტაცებაში მოიყვანა. იმის მიუხედავად, რომ მოთამაშე აკლდათ, სტუმრებმა ჯოვანე ელბერისა და სამუელ კუფერის გოლების წყალობით შეძლეს მატჩის მოგება — 2-1.



ალექსანდრე იაშვილი

საერთოდ კი, მიმომხილველთა აზრით, გერმანიის ახლანდელი ჩემპიონატი გაცილებით უფრო საინტერესო უნდა გამოდგეს. ადრე მასში არ იყო არავითარი კონკურენცია, ახლა კი...

ბივი თორელი

---

დიდი კლუბები

## კიევის „დინამო“

**კიევის „დინამოს“ ამჟამად ევროპაში დიდი სახელი აქვს. ყველასათვის ცნობილია მისი ახლანდელი ხელმძღვანელის ვალერი ლობანოვსკის ხელოვნება. რა თქმა უნდა, ლაპარაკი არ არის იმაზე, რომ გუნდი უძლიერესია თავის ქვეყანაში. მის წინაშეა ამოცანა თავი გამოიჩინოს ჩემპიონთა ლიგაშიც, სადაც იგი ყოველწლიურად თამაშობს.**

წლეულს კიევის „დინამომ“ ორი მოთამაშე „დაკარგა“: ანდრეი შევჩენკო, როგორც ცნობილია, ბრწყინავს „მილანში“, ოლეგ ლუჟნი კი, შესაძლოა, ასაკის გამოც, თავს ისე მტკიცედ ვერ გრძნობს ლონდონის „არსენალში“. არც იმის თქმა შეიძლება, რომ კიევის „დინამოს“ არ შეეტყო ამ ორი ცნობილი ოსტატის დაკარგვა.

ალექსანდრ შოვკოვსკის ახლა ბევრი სპეციალისტი ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარედ თვლის. იგი 24 წლისაა, 87 კგ იწონის, ტანმაღალია – 191 სმ. ძალიან კარგად თამაშობს კარის ხაზზე. ითვლებოდა, რომ თავს არც ისე დამაჯერებლად გრძნობდა კარიდან გამოსვლისას, თუმცა ამასწინანდელმა მოსკოვის მატჩმა რუსეთის ნაკრებთან ეს აზრი სულაც არ დაამტკიცა. ერთი სიტყვით, „დინამოს“ (და, რა თქმა უნდა, უკრაინის ნაკრებსაც) მეკარის პრობლემა კარგა ხანს არ ექნება.

კიეველებს მეტად ძლიერი, შეუპოვარი და ტანმაღალი მცველები ჰყავთ. სამი მათგანი უკრაინის ნაკრებშიც შედის. „ლიბერო“ ვლადისლავ ვაშჩუკი 24 წლისაა, დაიბადა იმავე დღეს, 2 იანვარს, როგორც შოვკოვსკი. მედგარი მცველია, ამავე დროს აქვს ზუსტი შორეული გადაცემები, რითაც ძალიან ხშირად გოლის მომტანი შეტევები იწყება, მეორე ცენტრალური მცველი გუნდის კაპიტანი ალექსანდრ გოლოვკო (1972, 185 სმ, 76 კგ) საუკეთესოდ თამაშობს თავით. როცა კიევის „დინამო“ კუთხურს აწოდებს, მიდის წინ და ძალიან სახიფათოც ხდება მეტოქის კართან. იური დმიტრულინი (1975, 175 სმ, 71 კგ) დიდი მონდომებით გამოირჩევა. შეუძლია ითამაშოს დაცვის ორივე ფრთაზე. დიდი სისწრაფე არა აქვს, მაგრამ ამის კომპენსაციას პოზიციის სწორი შერჩევით ახერხებს. აქვს ძლიერი დარტყმა.

საყოველთაო აზრით, კიეველთა ნახევარდაცვა დაცვას ჩამოუვარდება. ვიტალი კოსოვსკი (1973, 172 სმ, 66 კგ) ძალიან სწრაფი და ტექნიკური ფეხბურთელია. ამ სეზონში არც ისე წარმატებით თამაშობს, რაც ძირითადად ტრავმის შედეგებით აიხსნება. სწორედ ამის გამო იყო, რომ არ მონაწილეობდა რუსეთის ნაკრებთან ამასწინანდელ მატჩში. ანდრეი გუსინი (1972, 189 სმ, 78 კგ) წინათ, როგორც ამბობენ, ერთი ჩვეულებრივი თავდამსხმელი იყო. ვალერი ლობანოვსკიმ მას ამპლუა შეუცვალა და გუსინმაც გაცილებით უკეთესად დაიწყო თამაში. გუსინი, შეიძლება ითქვას, ყველგან ასწრებს, შეტევებშიც მონაწილეობს და მეტოქეთა იერიშსაც წინ აღუდგება ხოლმე. სერგეი კორმილცევი (1974, 184 სმ, 70 კგ) წინათ რუსეთის პირველ და უმაღლეს დივიზიონში თამაშობდა; კიევში ელისტის „ურალანიდან“ მოხვდა. და უკრაინის მოქალაქეობა მიიღო. იგი ძალიან ნაყოფიერად თამაშობს მინდვრის ცენტრში. სერგეი კონოვალოვი (1972, 180 სმ, 75 კგ) ძალზე გამოცდილი ფეხბურთელია, ჯერ კიდევ საკავშირო ჩემპიონატში მონაწილეობდა დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ შემადგენლობაში, ერთხანს კორეის „სამსუნგშიც“ გამოდიოდა.

კიეველთა თავდასხმაში შევჩენკოს შემდეგ წამყვანი ფიგურა, ცხადია, მაღალი კლასის ფორვარდი სერგეი რებროვია (1974, 171 სმ, 66 კგ). საინტერესოა, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში რებროვი გაცილებით უფრო წარმატებით თამაშობდა (4 გოლი გაიტანა), ვიდრე შევჩენკო. კიეველთა საყვარელი ფეხბურთელია და იმის მიუხედავად, რომ ბევრი ცნობილი კლუბი ეპატიჟება, ჯერჯერობით „დინამოს“ დატოვებას არ აპირებს.

მას შემდე, რაც შევჩენკო „მილანში“ გადავიდა, ბუნებრივია, დადგა საკითხი რომელიმე მაღალი კლასის თავდამსხმელის მოწვევის შესახებ. ერთხანს დავორ შუკერზეც კი იყო ლაპარაკი. ბოლოს „დინამოში“ ჩაირიცხა კალინინგრადის „ბალტიკის“ ფორვარდი ალექსანდრ შაცკიხი. იგი საკმაოდ კარგი თავდამსხმელია, თუმცა, ცხადია, შევჩენკომდე, რომ იტყვიან, ბევრი უკლია. ისე რომ, ლობანოვსკი კვლავ განაგრძობს ძიებას. რაც შეეხება მცველ ლუჟნის შემცვლელს, იგი საკმაოდ მოულოდნელი გამოდგა. ეს გახლავთ ექს-სპარტაკელი რამიზ მამედოვი, რომელსაც რუსეთის ნაკრებშიც აქვს ნათამაშევი. მას შემდეგ, რაც მოსკოვის „სპარტაკიდან“ წავიდა, მამედოვმა რამდენიმე სხვა კლუბშიც სცადა მოკლე დროით ძალა. ახლა კი კიევში „გამაგრდა“. როგორც უკრაინელი ჟურნალისტი ვიქტორ ბრანიცკი თვლის, მამედოვს ახლა არა აქვს ის საბრძოლო მზადყოფნა, ადრე რომ ჰქონდა, მაგრამ მისი თამაშის გაუმჯობესება, უბრალოდ, დროის საკითხია.

რაც შეეხება უკრაინის ახლანდელ ჩემპიონატს, აქ კიევის „დინამოს“, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით, ორი მეტოქე გამოუჩნდა. ესენია კრივოი როგის „კრივბასი“ და უკრაინის უმაღლეს ლიგაში ახლახან დაბრუნებული ხარკოვის „მეტალისტი“, რომელსაც ქართველი გულშემატკივრების ძველი ნაცნობი მიხაილ ფომენკო ხელმძღვანელობს. უკრაინის ჩემპიონატში ჯერ ცოტა ტურია ნათამაშევი, არავის აეჭვებს, რომ კიევის „დინამო“, რომელიც თავისი შემადგენლობით მკვეთრად აღემატება ყველა დანარჩენს, კვლავ ჩემპიონობას მოიპოვებს. რაც შეეხება მეორე ამოცანას – ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით გამოსვლას, აქ კიეველები ბევრად უფრო რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდნენ, თუმცა, იმედს ჯერჯერობით არ ჰკარგავენ.



სერგეი რებროვი (თეთრ მაისურში)

ბივი გამრეკელი

---

## ეროვნული ჩემპიონატები. თასები

### ესპანეთი (VII ტური)

ატლეტიკო — ალავესი 1-0, სევილია — ბეტისი 3-0, მალაგა — ატლეტიკი 3-4, მალიორკა — დეპორტივო 2-2, სელტა — სარაგოსა 2-1, სოსიედადი — რასინგი 2-5, რაიო ვალეკანო — ესპანიოლი 2-1, ოვიედო — ვალიადოლიდი 1-1, ბარსელონა — რეალი 2-2, ვალენსია — ნუმანსია 4-0.

### საფრანგეთი (X ტური)

პსჟ — ოლიმპიკი 0-2, ლიონი — ნანტი 2-0, მეცი — ნანსი 2-2, ბორდო — მონაკო 3-2, სტრასბურგი — ოსერი 1-3, ბასტია — ლანსი 2-0, მონპელიე — სენტ-ეტიენი 0-1, ტრუა — ლე ჰავრი 3-1, რენი — სედანი 5-0.

### ბელგია (IX ტური)

ბრიუგე — გენტი 1-3, სენტ-ტრუიდენი — ვესტერლო 2-1, ლოკერენი — მეჰელენი 0-2, ბეერსხოტი — ჰარელბეკი 1-0, ალოსტი — ანდერლეხტი 2-3, ბევერენი — შარლერუა 1-1, ლიერსი — სტანდარდი 1-0, ლომელი — გენკი 0-1, გეელი — მუსკრონი 1-4

### ჰოლანდია (VIII ტური)

ფეიენოორდი — ვიტესი 0-0, კამბური — ვილემ II 0-1, აიაქსი — ფორტუნა 4-1, დენ ბოში — აზ-67 2-3, ჰერენვენი — უტრეხტი 1-0, ნაიმეგენი — ტვენტე 0-1, ვალვაიკი — ეინდჰოვენი 1-6.

### ინგლისის ლიგის თასი (1/16 ფინალი)

ტრანმერი — ოქსფორდი 2-0, ბრედფორდი — ბარნსლი 2-3, არსენალი — პრესტონი 2-1, უიმბლდონი — სანდერლენდი 3-2, ვესტ ბრომვიჩი — ფულემი 1-2, ბირმინგემი — ნიუკასლი 2-0, მიდლსბრო — უოტფორდი 1-0, ჩელსი — ჰადერსფილდი 0-1, დერბი — ბოლტონი 1-2, შეფილდ უენსდეი — ნოტინგემი 4-1, ლიდსი — ბლექბერნი 1-0, ლესტერი — გრიმსბი 2-0, ტოტენჰემი — ქრიუ 3-1, საუთჰემპტონი — ლივერპული 2-1, ასტონ ვილა — მანჩესტერ იუნაიტედი 3-0, ვესტ ჰემი — ბორნმუთი 2-0.

### გერმანიის თასი (1/16 ფინალი)

ვერდერი — კაიზერსლაუტერნი 2-2 (4-3 პენ.), ბაბელსბერგი — ფრაიბურგი 2-4 (დ.დ.) კობიაშვილმა და იაშვილმა ითამაშეს მთელი მატჩი და გაიტანეს თითოგოლი.

ვალდჰოფი — ბაიერი 3-2 (დ.დ.), შ.ტ.კ. კიკერსი — ბორუსია (დორტმუნდი) 3-1, ჰანოვერი — არმინია 1-2, ზანქტ პაული — ულმი 0-2, ფიურტი — ჰანზა 1-3, კიოლნი — აინტრახტი 2-1, ხემნიცი — ვოლსბურგი 2-3, კოტბუსი — შალკე-04 2-2 (5-4 პენ.). მაინცი — ჰამბურგი 2-0, ტენის ბორუსია — ჰერტა 2-3, ბოხუმი — დუისბურგი 1-1 (6-5 პენ.) ტრირი — მიუნხენი 2-1, მეპენი — ბაიერნი 1-4, ვერდერი (სამოყვარულო) — შტუტგარტი 0-1.

### რუსეთის თასი (1/16 ფინალი)

ტომსკი — ცსკა 0-5, ლოკომოტივი (ს.პ.) — ლოკომოტივი (მ) 1-5, ანჟი — ტორპედო 3-1, მეტალურგი (ლიპეცკი) — ალანია 1-0, მოსენერგო — დინამო (მოსკოვი) 0-0 (5-6 პენ.), გაზოვიკ-გაზპრომი — ზენიტი 2-1, ფაკელი — როსტსელმაში 3-2, სპარტაკი-ჩუკოტკა — ლოკომოტივი (ნ.ნ.) 1-0, არსენალი — სატურნი 1-3, ლოკომოტივი (ჩიტა) — ურალანი 0-1, დინამო (სტავროპოლი) — ჩერნომორეცი 2-1, ამკარი — როტორი 2-2 (4-5 პენ.), სპარტაკი (ნალჩიკი) — ქემჩუჟინა 4-0, სოკოლი — შინიკი 1-0, ლადა-ვაზი — სპარტაკი (მოსკოვი) 0-2.

---

## თეთრაძე სისტემატურად თამაშობს

საბერძნეთის ჩემპიონატი ძლიერი მიწისძვრის გამო, რომელმაც რამდენიმე სტადიონიც შეიწირა, შედარებით გვიან დაიწყო, მაგრამ უკვე ჩატარდა რამდენიმე პრინციპული შეხვედრა. ასე, მაგალითად, უკვე მეორე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები — ათენის კლუბები აეკ-ი და „პანათინაიკოსი“. გაიმარჯვა „პანათინაიკოსმა“ — 2-1, მე-3 ტურში ასევე მეტად მნიშვნელოვანი იყო „პანათინაიკოსისა“ და სალონიკის პაოკ-ის შეხვედრა. იგი ფრედ 1-1 დასრულდა, რაც სტუმრებისათვის კარგი შედეგია, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ შარშანდელ ჩემპიონატს, რომელიც პაოკმა სამი წაგებით დაიწყო, შემდეგ კი რის ვაინაჩრობით გამოასწორა მდგომარეობა. სალონიკელთა შემადგენლობაში მთელი 90 წუთი ითამაშა ომარ თეთრაძემ.

ჩემპიონატი სამი მოგებით დაიწყო პირეოსის „ოლიმპიაკოსმა“, რომლის რიგებში როგორც ეროვნულ პირველობაზე, ისე ჩემპიონთა თასზე ბრწყინვალედ თამაშობს ბრაზილიელი ჯოვანი. იგი აქამდე, თითქმის უქმად იყო „ბარსელონაში“, საბერძნეთში გადასვლის შემდეგ, ასე ვთქვათ, ერთი ხელის მოსმით, გუნდის ლიდერი გახდა.

რაც შეეხება ჩემპიონატს, აქ, მიმომხილველთა აზრით ბრძოლა პირველი ადგილისათვის „ტრადიციულ კვარტეტში“ გაიმართება, რომელშიც შედიან „პანათინაიკოსი“, აეკ-ი, „ოლიმპიაკოსი“ და პაოკ-ი. ეს კლუბები ფინანსურად სხვებზე უფრო ძლიერებია და ბევრი ლეგიონერიც ჰყავთ. შედარებით მოულოდნელია სალონიკის „არისის“ გამოჩენა ლიდერთა ჯგუფში. აქ არც ისე დიდი ხნის წინათ გამოდიოდა ახალგაზრდა თბილისელი ნახევარმცველი გიორგი ყიფიანი, რომელიც ახლა „ვიტ-ჯორჯიაში“ თამაშობს.

სამი ტურის შემდეგ „ოლიმპიაკოსს“ 9 ქულა აქვს, „არისს“, „პანათინაიკოსსა“ და „პანილიაკოსს“ — 7-7, პაოკ-მა კი 5 ქულა მოაგროვა (1 მოგება და 2 ფრე).

სულ საბერძნეთის ჩემპიონატში 18 კლუბია.

UEFA
EURO
2000
The Low Countries

# ევრო–2000–ის შესარჩევი ტურნირი

**სტატისტიკის მოყვარულთათვის**

● ევრო 2000-ის შესარჩევი ტურნირი 1998 წლის 4 ივნისს ესტონეთისა და ფარერის კუნძულების ნაკრებების შეხვედრით დაიწყო.

***პირველი ბურთი*** გაიტანა ესტონელმა ვიიკმაემ.

***პირველი „ჰეთ-რიკი“*** შეასრულა რუმინელმა ა. ილიემ (რუმინეთი-ლიხტენშტეინი 7-0)

***პირველი „პოკერი“*** ეკუთვნის ესპანელ რაულს (ესპანეთი-ავსტრია 9-0)

● სულ ჩატარებულ 220 მატჩში გატანილია ***634 ბურთი*** (საშუალოდ ერთ მატჩში 2,88 ბურთი).

ჯგუფების მიხედვით გატანილი გოლები შემდეგნაირად განაწილდა:

I ჯგუფი: ჩატარებულ 20 მატჩში გატანილია 44 ბურთი (საშუალოდ 2,20 ბურთი).

II ჯგუფი: 30 მატჩში — 75 ბურთი (საშუალოდ 2,50 ბურთი).

III ჯგუფი: 20 მატჩში — 59 ბურთი (2,95 ბურთი).

IV ჯგუფი: 30 მატჩში — 76 ბურთი (2,53 ბურთი).

V ჯგუფი: 20 მატჩში — 44 ბურთი (2,20 ბურთი)

VI ჯგუფი: 20 მატჩში — 99 ბურთი (4,95 ბურთი).

VII ჯგუფი: 30 მატჩში — 91 ბურთი (3,03 ბურთი)

VIII ჯგუფი: 20 მატჩში — 64 ბურთი (3,20 ბურთი)

IX ჯგუფი: 30 მატჩში — 82 ბურთი (2,73 ბურთი).

● ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა ***ესპანეთის ნაკრებმა*** — 42 (საშუალოდ ერთ მატჩში 5,25).

შემდეგ მოდიან: ***პორტუგალიის ნაკრები*** — 32 (3,2); ***ჩეხეთის ნაკრები*** — 26 (2,6); ***ისრაელის ნაკრები*** — 25 (3,12); ***რუმინეთის ნაკრები*** — 25 (2,5).

● ყველაზე ნაკლები გოლი გაიტანეს: სან-მარინოს ნაკრებმა — 1 ბურთი (საშუალოდ 0,12); ლუქსემბურგის ნაკრებმა — 2 (0,25 ბურთი); ლიხტენშტეინის ნაკრებმა — 2 (0,20); ანდორის ნაკრებმა — 3 ბურთი (0,3).

● ყველაზენაკლებიგაშვებულიგოლების მიხედვით ლიდერობენ: შვედეთის ნაკრები — გაუშვა 1 ბურთი (საშუალოდ ერთ მატჩში 0,12 ბურთი) რუმინეთის ნაკრები — 3 ბურთი (0,3); უკრაინისა და პორტუგალიის ნაკრებები — 4-4 ბურთი (0,4); ინგლისისა და გერმანიის ნაკრებები — 4-4 ბურთი (0,5).

● ყველაზე მეტი ბურთი მიიღო საკუთარ კარში სან-მარინოს ნაკრებმა — 44 ბურთი (საშუალოდ 5,5 ბურთი). შემდეგ მოდიან: ლიხტენშტეინი — 39 ბურთი (საშუალოდ 3,9 ბურთი); ანდორის ნაკრები — 28 (2,8 ბურთი); მალტის ნაკრები — 27 (3,3); აზერბაიჯანის ნაკრები — 26 (2,6).

● შესარჩევი ეტაპის ყველა შეხვედრა მოიგო ჩეხეთის ნაკრებმა, არც ერთი შეხვედრა ***არ წაუგიათ:*** ჩეხეთის, რუმინეთის, უკრაინისა და შვედეთის ნაკრებებს.

შესარჩევი ეტაპის არც ერთი შეხვედრა არ მოუგიათ: ფარერების, ბელორუსიის, ანდორის, მოლდავეთის, ლუქსემბურგის, სან-მარინოსა და მალტის ნაკრებებს.

● სულ დაფიქსირდა 60 დიდი ანგარიშით მოგება, რომელიც ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა: I ჯგუფი — 1 დიდი ანგარიშით მოგება; II ჯგუფი — 4; III ჯგუფი — 6; IV ჯგუფი — 5; V ჯგუფი — 5; VI ჯგუფი — 13; VII ჯგუფი — 15; VIII ჯგუფი — 5; IX ჯგუფი — 6;

ესპანეთისა და პორტუგალიის ნაკრებებს — 5-5 მოგება აქვთ; ისრაელისა და რუმინეთის ნაკრებებს — 4-4; გერმანიის, ავსტრიისა და ჩეხეთის ნაკრებებს — 3-3;

ამ მატჩებში დაფიქსირდა 15 „ავტო“ გოლი. აგრეთვე 15 ფეხბურთელმა შეასრულა „ჰეთ-თრიკი“. და 55 ფეხბურთელმა — 59 „დუბლი“. 2-2 „დუბლი“ შეასრულეს: ზაჰოვიჩმა (სლოვენია), სა პინტუმ, რუი კოშტამ და ჟოაო პინტუმ (ყველა — პორტუგალია).

● 220 შეხვედრაში 20 სხვადასხვა ანგარიში აღინიშნა. ყველაზე პოპულარულია 1-0 — 31-ჯერ. შემდეგ მოდის: 2-0 — 30; 2-1 — 25; 0-0 და 3-0 — 23; 1-1 — 16; 3-2 — 15; 4-0 — 11; 3-1 — 10; 4-1 — 7; 2-2 და 5-0 — 6; 4-2, 7-0 და 8-0 — 3; 6-0, 6-1 და 9-0 — 2; 3-3 და 5-1 — თითოჯერ.

● **მაყურებელი**

სულ მატჩებს დაესწრო 4 479516 მაყურებელი (საშუალოდ ერთ მატჩს დაესწრო 20361).

ჯგუფების მიხედვით ასეთი სურათია:

I ჯგუფი — 511956 (საშუალოდ ერთ მატჩს დაესწრო 25597 მაყურებელი)
II — 407889 (13596)
III — 421914 (21095)
IV — 996958 (33231)
V — 570343 (28517)
VI — 334600 (16730)
VII — 489336 (16311)
VIII — 392608 (19630)
IX — 348912 (11630)

● ყველაზემეტიმაყურებელიჰყავდა: რუსეთი-უკრაინის მატჩს — 84000. შემდეგ მოდის: უკრაინა-რუსეთი — 82100; საფრანგეთი-სომხეთი — 78852; საფრანგეთი-უკრაინა — 78500; საფრანგეთი-ისლანდია — 78391; საფრანგეთი-რუსეთი — 78000.

● საერთოდ, ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავდა მატჩებს ***საფრანგეთის*** ნაკრების მონაწილეობით — 550346 (საშუალოდ ერთ მატჩს დაესწრო 55034).

***ყველაზე ნაკლები:*** ფარერები-ლიტვის მატჩს — 450, შემდეგ მოდის: სან-მარინო - ისრაელი — 600; ლიტვა-ფარერები — 800; ანდორა-უკრაინა — 850 კაცი.

***საქართველოს*** ნაკრების მონაწილეობით მატჩებს დაესწრო 152 126 მაყურებელი (საშუალოდ 15 212). თბილისში ჩატარებულ მატჩებს 106 000 (საშუალოდ 21200), ხოლო სტუმრად 46126 (საშუალოდ 9225).

● ყველამატჩშიმიიღომონაწილეობა 80 ფეხბურთელმა. აქედან 26 ფეხბურთელმა შეუცვლელად ითამაშა ყველა შეხვედრა.

***ყველაზე მეტი*** ფეხბურთელი ათამაშა აზერბაიჯანისა და ლიხტენშტეინის ნაკრებებმა — 41 ფეხბუროელი. შემდეგ მოდის: სან-მარინო — 40; საქართველო —39; სლოვაკეთი და ლიტვა — 38; ნორვეგია და შოტლანდია — 37; ავსტრია — 36; რუსეთი — 34.

***ყველაზე ნაკლები*** ფეხბრთელი ათამაშა: ლუქსემბურგის ნაკრებმა — 22; შემდეგ მოდის: შვედეთის ნაკრები — 23; უკრაინის, მოლდავეთის, იუგოსლავიის, ესტონეთისა და პორტუგალიის ნაკრებები — 24-24 ფეხბურთელი.

● **მეკარეები**

მთელი ტურნირი ***თითო მეკარით*** ჩაატარეს: ***საბერძნეთის*** (ატმაციდისი), ***უნგრეთის*** (კირალი), ***ისლანდიისა*** (კრისტინსონი) და ***შვედეთის*** (ჰედმანი) ნაკრებებმა; ***2-2*** მეკარე ათამაშეს: იტალიის, დანიის, უელსის, ალბანეთის, ლატვიის, სლოვენიის, გერმანიის, თურქეთის, ჩრ. ირლანდიის, მოლდავეთის, უკრაინის, სომხეთის, ანდორის, ინგლისის, ბულგარეთის, პოლონეთის, ლუქსემბურგის, ესპანეთის, ავსტრიის, კვიპროსის, სან-მარინოს, რუმინეთის, პორტუგალიის, იუგოსლავიის, ხორვატიის, ირლანდიის, მაკედონიის, ჩეხეთის, ბოსნიის, ესტონეთისა და ფარერების ნაკრებებმა; ***3-3*** მეკარე: საფრანგეთის, სლოვაკეთის, ლიხტენშტეინის, მალტის, ლიტვის, [illegible], ისრაელისა და შოტლანდიის ნაკრებებმა, ***4-4*** მეკარე: ნორვეგიის, რუსეთის, აზერბაიჯანის, შვეიცარიის, ბელორუსიისა და საქართველოს ნაკრებებმა.

● **ბომბარდირები:**

რაული (ესპანეთი) — 11 ბურთი.
ჟოაო პინტუ (პორტუგალია) — 8
ზ. ზაჰოვიჩი (სლოვენია) — 8
ს. ბირჰოფი (გერმანია) — 7
ე. ბალიჩი (ბოსნია) — 6
კოლერი (ჩეხეთი) — 6
ურსაისი (ესპანეთი) — 6
ვ. კარპინი (რუსეთი) — 6
ა. ილიე (რუმინეთი) — 6
ა. შირერი (ინგლისი) — 6
რუი კოშტა (პორტუგალია) — 6
სა პინტუ (პორტუგალია) — 5
ბერგერი (ჩეხეთი) — 5
მიზრაჰი (ისრაელი) — 5
ვასტიჩი (ავსტრია) — 5
ტ.-ა. ფლო (ნორვეგია) — 5
ო. სოლსკიაერი (ნორვეგია) — 5
ფ. იერო (ესპანეთი) — 5

● სულ აღინიშნა 2 „პოკერი“ (რაული — ესპანეთი და ბალიჩი — ბოსნია). და 15 „ჰეთ-თრიკი“: ილიე (რუმინეთი); ივანაუსკასი (ლიტვა); ვ. სებოკი (უნგრეთი); ვასტიჩი (ავსტრია); არიფი (თურქეთი); ბენაიუნი (ისრაელი); ჟოაო პინტუ (პორტუგალია); სქოულზი და შირერი (ინგლისი); ბირჰოფი და ციგე (გერმანია); რაული, გერერო, ურსაისი და ლუის ენრიკე (ესპანეთი).

**ვეფხვია ჯალაღონია,**
აფხაზეთი ს. ეშერი.


რაული

## რატომ პორტუგალია და არა სხვა...

ევრო-2000-ის შესარჩევი ტურნირიდან პორტუგალიის ნაკრები პირდაპირ გავიდა ფინალურ სტადიაში. ფეხბურთის გულშემატკივრებს გთავაზობთ შესარჩევ ჯგუფებში მეორე ადგილზე გასული გუნდების დაგროვილი ქულების რაოდენობას და ბურთების შეფარდებას, რომელიც იანგარიშება ჯგუფებში პირველი, მესამე და მეოთხე ადგილებზე გასულ გუნდებთან ნათამაშევ მატჩებში მიღწეული შედეგებით, გთავაზობთ ამ გუნდების მონაცემებს.

| ქულა | | ბურთების შეფარდება |
|---|---|---|
| I ჯგუფი: დანია | 10 | 10-8 = +2 |
| II ჯგუფი: სლოვენია | 7 | 6-12 = -6 |
| III ჯგუფი: თურქეთი | 13 | 12-5 = +7 |
| IV ჯგუფი: უკრაინა | 10 | 6-4 = +2 |
| V ჯგუფი: ინგლისი | 7 | 5-4 = +1 |
| VI ჯგუფი: ისრაელი | 7 | 12-8 = +4 |
| VII ჯგუფი: პორტუგ. | 13 | 11-3 = +8 |
| VIII ჯგუფი: ირლან. | 10 | 6-4 = +2 |
| IX ჯგუფი: შოტლ. | 10 | 9-6 = +3 |

ამრიგად, პორტუგალიის ნაკრებმა მოაგროვა 13 ქულა, ბურთების სხვაობით 11-3 = +8, თურქეთის ნაკრებმა 13 ქულა, ბურთების სხვაობით 12-5 = +7. როგორც ხედავთ, ერთადერთმა ბურთმა გადაწყვიტა პორტუგალიის ნაკრების გასვლა პლეიოფის გარეშე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

# კიდევ დიდხანს იკამათებენ

**კიდევ დიდხანს იქნება სპორტული მიმომხილველების, ექსპერტების ყურადღების ცენტრში ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირების შედეგები. განსაკუთრებით ბევრს წერენ ხორვატიისა და რუსეთის ნაკრებების მარცხზე.**

ის, რომ მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი — ხორვატიის ნაკრები ფინალში ვერ მოხვდა, ბევრს დიდ სენსაციად მიაჩნია. აი რა განაცხადა ხორვატიის მწვრთნელმა ***მიროსლავ ბლაჟევიჩმა:***

— ჯერ კიდევ მატჩამდე არ გაგვიმართლა — ნაკრებს ტრავმების მთელი ეპიდემია მოედო. უპირველეს ყოვლისა, გვაკლდა ზვონიმირ ბობანი და იგორ შტიმაცი, რომლებიც გუნდში დიდ როლს ასრულებენ. ამის მიუხედავად, ჩვენ კარის აღების მეტი შესაძლებლობა გვქონდა. ეს დამარცხება ყველაზე მწარეა მთელი ჩემი კარიერის მანძილზე. ცხოვრება გრძელდება, რაც მოხდა, მოხდა. წუწუნი რას გვიშველის.

იუგოსლავიელთა მწვრთნელი ***ვუიადინ ბოშკოვი:*** დიახ, ბედი გვწყალობდა. უმცირესობაში რომ დავრჩით, მთელი ძალით ვიბრძოლეთ, არაფერი დავზოგეთ და ამით წარმატება დავიმსახურეთ.

გერმანიის ნაკრებმა, როგორც ცნობილია, საკუთარ მინდორზე მიუნხენში თურქებთან სრულიად უფერულად ითამაშა — 0-0, თუმცა, ჯგუფში მაინც პირველ ადგილზე გავიდა.

გერმანიის ნაკრების მწვრთნელი ***ერიხ რიბეკი:*** ბედნიერი ვარ, რომ ფინალში გავედით. მადლობა ღმერთს, დასაწყისშივე გოლი არ გავუშვით. გუნდის კაპიტანი ***ლოთარ მათეუსი:*** ძალიან გაგვიჭირდა. გვესმოდა, რომ ფრე ხელს გვაძლევდა, ამიტომ უნებურად, ძალიან ფრთხილად ვთამაშობდით. თუმცა, მეორე ტაიმში უკვე უკეთესად გამოვიყურებოდით. ***ფრანც ბეკენბაუერი:*** გასვლით მატჩში კიდევ შეიძლება შეეგუო ისეთ თამაშს, რომელიც ჩვენმა გუნდმა აჩვენა.

ძალზე უფერულად გამოვიდა იტალიის ნაკრები მინსკში — 0-0 ბელორუსიის ნაკრებთან. იტალიელთა მწვრთნელმა ***დინო ძოფმა*** იხტიბარი მაინც არ გაიტეხა: თითქოს გვქონდა კარგი შესაძლებლობები, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. ეს ბელორუსიის დაცვის დამსახურებაცაა. ისე კი, ფრეს ველოდით. პირველ ტაიმში ცუდად არ გვითამაშია, მეორეში კი ჩემი ფეხბურთელების მიმართ პრეტენზია ნამდვილად მაქვს.

საფრანგეთში დიდი უკმაყოფილება გამოიწვიეს ნაკრების მატჩებმა, რომლის თამაშის ხარისხი ახლა საკმაოდ დაბალია. ამაში ახლანდელ მწვრთნელს ლემერს ადანაშაულებენ.

ყველაზე მეტი გამოხმაურება მაინც რუსეთ-უკრაინის მატჩს ჰქონდა. რუსეთის ნაკრების მეკარე ფილიმონოვმა მიიღო ნიშანი „2“, რაც ათბალიან სისტემაში პირდაპირ გაუგონარი შეფასებაა.

***ოლეგ რომანცევი:*** ჩემი აზრით, ჩვენებს დაცვაში ზოგი შეცდომის მიუხედავად დღეს მაინც გამარჯვება ეკუთვნოდათ. გვესმოდა, რომ უკრაინელების კონტრშეტევები ძალიან სახიფათო იქნებოდა, მაგრამ მაინც დიდი ძალებით შეტევა ვამჯობინეთ. სხვა გზა არც გვქონდა. მეტოქეს ჩვენს პირობებს ვკარნახობდით, მაგრამ, როგორც ხედავთ, ამ დღეს არ გვიმართლებდა.

● ***ფილიმონოვს კიდევ მოიწვევთ ნაკრებში?***

— ახლა ძალზე დიდი დრო მომეცა ამაზე საფიქრებლად.

● ***რატომ ანდეთ კარი ფილიმონოვს, რომელიც ბოლო მატჩებში „სპარტაკშიც“ სუსტად გამოიყურებოდა?***

— ნიგმატულინს ან სხვას რომ დავერწმუნებინე, ფილიმონოვზე უკეთესი იყო, სწორედ მას ვენდობოდი. სამწუხაროდ, ვარჯიშზე ნიგმატულინი ძალზე სუსტად გამოიყურებოდა, ფილიმონოვი უკეთესი იყო.

● ***რუსეთის ნაკრები შეტევისას უკრაინელებზე გაცილებით უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი იყო. ამის მიუხედავად შეხვედრა მაინც ფრედ დასრულდა, რატომ?***

— პასუხი შეიძლება კონკრეტულად არ მოგეჩვენოთ. ჩემი აზრით, რაღაც ბედისწერაა, როგორ შეიძლება ასეთი კლასის მეკარემ ამნაირი ბურთი გაუშვას?!

● ***გააგრძელებთ ნაკრებში მუშაობას?***

— ახლა მინდა ფეხბურთს თავი დავანებო. მაგრამ გაივლის რამდენიმე დღე, დავმშვიდდები და, რა თქმა უნდა, მუშაობას განვაგრძობ.

● ***ხომ არ გეჩვენებათ, რომ არის რაღაც სამართლიანობა იმაში, რომ რუსეთი ევროპის ჩემპიონატზე ვერ მოხვდა?***

— შესაძლოა, ასეც იყოს. მაგრამ ის, რაც მოხდა, პირადად ჩემთვის კატასტროფას ნიშნავს.


ოლეგ რომანცევი

***ვიაჩესლავ კოლოსკოვი:*** თვით მტერიც კი ვერაფერ ცუდს იტყვის დღევანდელ ჩვენს მოთამაშეებზე. მათ ეტალონური ფეხბურთი გვიჩვენეს. მათი წყალობით „ლუჟნიკის“ მაყურებელმა ევროპის პირველობის მთელი შესარჩევი ტურნირის ყველაზე უკეთესი მატჩი ნახეს. რომანცევმა მოთამაშეებს ამ და სხვა მატჩებისათვის მადლობა გადაუხადა. მათ ხომ გულშემატკივრებს ჩვენი ნაკრების ნდობის გრძნობა დაუბრუნეს. მწვრთნელმა მოთამაშეებს უთხრა, რომ თითოეულ სპორტსმენს წარმატებაც ჰქონდეს და წარუმატებლობაც. ურჩია, რაც შეიძლება მალე დაივიწყონ ეს ბედუკუღმართი მატჩი. ბუნებრივია, უნდა დაიწყონ მზადება შემდეგი შესარჩევი ციკლისათვის.

● ***რას იტყვით რომანცევის მომავალზე?***

— გასახდელში ასეთი დიალოგი გაიმართა: „ბატონი კოლოსკოვი აქ არის?“ — იკითხა გამოსვლის პოლოს რომანცევმა. „აქა ვარ“. „იმედია, არ მომხსნიან“. „არა თუ არ მოგხსნიან, არამედ თქვენ და თქვენს კოლექტივსაც გთხოვენ გააგრძელოთ მუშაობა შემდგომ შესარჩევ ციკლში. მწვრთნელთა შემადგენლობის და მოთამაშეების სტაბილურობა იმის შესაძლებლობას მოგვცემს, რომ რუსეთის ნაკრები წარმატებით გამოვიდეს მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატში. რომანცევი რომ ნაკრებს სათავეში შესარჩევი ტურნირის დასაწყისიდანვე ჩადგომოდა, იგი რაიმე დიდი პრობლემის გარეშე გაიმარჯვებდა ამ შესარჩევ ჯგუფში.

***ვალენტინ ივანოვი:*** მშვენიერი თამაში იყო, შეიძლება ყველაზე უკეთესიც კი ამ ბოლო ათი წლის განმავლობაში. სულ ცოტათი არ გაგვიმართლა. დამარცხებას ორი მიზეზი აქვს. პირველი — არა გვყავს ცენტრალური თავდამსხმელები, ამიტომ ერთი ფორვარდით ვთამაშობთ. ისიც, გულახდილად რომ გითხრათ, არ არის მაღალი კლასის მოთამაშე. მეორეა ფილიმონოვის აშკარა შეცდომა. ფატალური უიღბლობაა. ამ დღეს ნამდვილად ბედი არა გვწყალობდა. გამარჯვება კი ასე ახლოს იყო...

***მიხაილ გერშკოვიჩი:*** დიახ, ზღაპრებმ გვიმტყუნა. რას იზამ, ასეთია ცხოვრება. მაგრამ, ისე, შემთხვევით არაფერი ხდება. ფილიმონოვმა „სპარტაკში“ ბოლო მატჩებიც ძალიან სუსტად წარმართა. სომხეთის ნაკრებთანაც რამდენიმე შეცდომა მოუვიდა. ამაში უნდა გავერკვეთ. ისე კი ფილიმონოვი ძალიან კარგი მეკარეა და მასზე ხელის აღება, [illegible] არ იყოს, ადრეა.

# „ყველაზე ძალიან არ მინდა ძმას ვებრძოლო!“



ვიტალი კლიჩკო

უკვე ვიუწყებოდით, რომ გერმანიაში მცხოვრებმა უკრაინელმა ვლადიმირ კლიჩკომ დაამარცხა ცნობილი მოკრივე აქსელ შულცი (გერმანია) და ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. და აი, ამას ახალი საინტერესო ამბავიც მოჰყვა. ვლადიმირის უფროსმა ძმამ ვიტალი კლიჩკომ (ასევე მძიმე წონაში გამოდის), WBO-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონია, ობერჰაუზენში (გერმანია) მორიგი მატჩი გამართა წოდების დასაცავად. მესამე რაუნდში ამერიკელ ედ მეხორნი იატაკზე დასცა. ეს ვიტალი კლიჩკოს 26-ე გამარჯვებაა პროფესიულ რინგზე.

ზოგი რამ ვიტალი კლიჩკოს შესახებ: დაიბადა 1971 წლის 19 ივლისს კიევში. იყო მსოფლიო ჩემპიონი კიკბოქსინგში, მოყვარულ მოკრივეთა 1995 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი. პროფესიულ რინგზე 26-ე ბრძოლა მოიგო. არის მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი WBO-ს ვერსიით.

მას რამდენიმე კითხვა მისცა გერმანელმა ჟურნალისტმა.

● *ვიტალი, რისგან შედგება თქვენი სამუშაო დღე?*

– დაახლოებით 5 საათს ვარჯიშს ვანდომებ. დანარჩენ დროს ვუთმობ გერმანული ენის გაკვეთილებს, დისერტაციაზე მუშაობას, ვისვენებ, ვხვდები სხვადასხვა პიროვნებას.

● *რომელ ტელევიზიას უყურებთ – რუსულს, უკრაინულს, გერმანულს?*

– გერმანულს.

● *გვითხარით თქვენი საკანდიდატო დისერტაციის შესახებ. გერმანიაში მას სადოქტორო ჰქვია. რა თემა გაქვთ, საიდან იღებთ ინფორმაციას, რა წყაროებით სარგებლობთ?*

– თემას ჰქვია „ტალანტების აღმოჩენა ნორჩი მოკრივეების სპორტული მომზადების საწყის ეტაპზე“. ეს ჩემთვის იმდენად სამუშაო კი არა, ჰობია. რაიმე საინტერესოს მოყოლა შემეძლება, რამდენადაც კრივში გარკვეული ცხოვრებისეული გამოცდილება მაქვს და ვიმედოვნებ, რომ შემდეგში შეიძლება რაიმეთი დავეხმარო დამწყებ სპორტსმენებს და იმათაც, ვინც უკვე ამა თუ იმ შედეგს მიაღწია.

● *ეხმარებით თუ არა უკრაინულ სპორტს?*

– ოთხი წლის წინათ ძმასთან ერთად დავაარსე საქველმოქმედო ფონდი „სპორტი XXI საუკუნე“, რომელიც მარტო უკრაინაში კი არ მოქმედებს, გერმანიაშიც. ახლა კონკრეტულ მაგალითს მოგახსენებთ. ფონდი ქ. ბროვარის ოლიმპიური რეზერვის სკოლის შეფია. მთელი მოწყობილობა გერმანიიდან ჩავიტანეთ. ბიჭებს მთლიანად გარემონტებული სავარჯიშო დარბაზი აქვთ და შეუძლიათ შედეგსაც მიაღწიონ. მე და ძმა მათთან ერთად ვვარჯიშობთ, ვსწავლობთ იმ ბავშვებს, ვისაც კრივის დაუფლება სურს, მათ შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს. ისე რომ, ბროვარის სკოლა მხოლოდ საქველმოქმედო კი არა, სამეცნიერო ობიექტიც არის.

● *ვისთან არ გინდოდათ ყველაზე მეტად რინგზე შეხვედრა?*

– ყველაზე მეტად არ მინდოდა ჩემს ძმას, ვლადიმირს შევხვედროდი.

● *ვისთან გინდოდათ შეხვედრა?*

– თუ მოვლენები ნორმალურად განვითარდა, სიამოვნებით შევხვდებოდი იმ მოკრივეებს, რომლებსაც დიდი სახელი აქვთ: ჰოლიფილდს, ლენოქს ლუისს, ტაისონს.

● *რომელიმე მათგანს თუ ყველას, მორიგეობით?*

– ყველას, მორიგეობით.

● *როცა ცნობილი ხდება თქვენი მეტოქის ვინაობა, ესწრებით მის ბრძოლებს ან სწავლობთ მისი ბრძოლის ვიდეოჩანაწერებს. თავის დროზე მაქს შმელინგმა სისუსტე შეამჩნია ჯო ლუისს და მასთან ბრძოლის წინ თქვა: „რაღაცას მივაქციე ყურადღება“. შეამჩნიეთ თუ არა „რაღაცა“ ედ მახორნს?*

– ამ კითხვას პასუხი ბრძოლამ გასცა.

● *გაქვთ თუ არა „აქილევსის ქუსლი“?*

– ყველა ადამიანს თავისი ძლიერი და სუსტი მხარე აქვს. რაში ვარ ძლიერი, ყველამ იცის, რა სისუსტე მაქვს, ამაზე კი არ ვილაპარაკებ, ვინმემ რომ არ გამოიყენოს.

## რა ხდება ქვეყანაზე

# ოსკარი „ოსკარს“ უმიზნებს

ასაკი, და საერთოდ, ხანდაზმულობა, როგორც ცხოვრებაში, ასევე სპორტში, ინდივიდუალურია. მიჩნეულია, რომ ფეხბურთელები საშუალოდ, 32-35 წლამდე არიან აქტიურ სპორტში, მაგრამ გვხვდებიან უფრო ასაკოვანნი, რომლებიც მწვანე მინდორზე ტოლს არაფერ'ში უდებენ ახალგაზრდებს. გაიხსენეთ ორმოც წელს გადაცილებული იაშინი, ძოფი და ა.შ. ხანდაზმულობის კონკრეტული ასაკის დადგენა არც კალათბურთშია ადვილი. აქაც გვხვდებიან მოთამაშეები, რომლებმაც მეხუთე ათეული წელიწადი „დაახურდავეს“ და არ ელევიან თამაშს.

ცნობილი ბრაზილიელი კალათბურთელი ოსკარ დანიელ შმიდტს წლის დასაწყისში შეუსრულდა 42 წელი და მსოფლიო ჩემპიონატების საუკეთესო ბომბარდირი კარიერას რიო-დე-ჟანეიროს ფლამენგოში განაგრძობს. მას მიიჩნევენ ხერხემლად, რომლის „გარშემო“ შეიქმნება ახალი გუნდი. ამას გარდა, „ტყვიამფრქვევისაგან“ კვლავინდებურად ელიან ჩაგდებულ ბურთებს.

თუმცა მისი გამოსვლა მოედანზე სარეკორდო მაინც არ არის, ვინაიდან ბულგარულ „ჩორნოე მორეში“ ირიცხება მასზე ერთი წლით უფროსი რუსი ლეგიონერი იური შიშკოვი.

* * *

აი, რონკეტის თასზე მონაწილე ისრაელის „ელიტცურს“ (ხოლონი) კი ევროპის სათასო ტურნირების ყველაზე ხანდაზმული მოთამაშე ჰყავს – 1955 წლის 3 თებერვალს დაბადებული დვორა იამ-ტევი, ისე რომ, ქალბატონი 44 წლისაა და თუ გუნდს კარგად წაუვიდა საქმე და მეოთხედფინალამდე მიაღწია, ევროპის მოედნებზე მაყურებელი ნახავს 45 წლის სპორტსმენის თამაშს. თუ, რა თქმა უნდა, დორა მაინც განაგრძობს კარიერას.

# დაველოდოთ ნოემბრამდე

ეს თვე საგანგებოდ აირჩია ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ რომ ნხლ-სა და ლიგის მოთამაშეთა ასოციაციამ დაადგინონ პროფესიონალ ჰოკეისტთა მონაწილეობა 2002 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში. ამის მიზეზი ისაა, რომ ამას წინათ, ამ საკითხთან დაკავშირებით, სერიოზული პრობლემები წარმოიშვა.

ისევე როგორც ნაგანოს 1998 წლის თეთრ ოლიმპიადაზე, ნხლ-ს ფუნქციონერებს აღელვებთ, თუ რამდენი დღით გახდება აუცილებელი რეგულარული ჩემპიონატის შეწყვეტა, რა დრო დასჭირდება მომზადებას, ადრე გაუშვებ თუ არა სხვადასხვა ქვეყნის ჰოკეისტები წინასწარ მატჩებზე.

ამ კითხვებზე ლიგის ასოციაცია დუმს.

ამიტომაც ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია დაიცდის ნოემბრამდე საბოლოო პასუხი რომ მიიღოს. თუმცა, ახლავე აეჭვებთ ხელმძღვანელებს პროფესიონალთა თამაშებში მონაწილეობა. პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ არც ამერიკელებს ... არც კანადელებს ... ნით თავი ნაგანოში და პრეზიდ... მიღმა აღმოჩნდნენ. მიუხედავად ი... სა, რომ ჰოკეისტთა ტურნირი ... ში ჩატარდება, რაც მეტ შანს... მისცემს მედლებისათვის ბრძოლაში... იიჰფ-ის პრეზიდენტ ფაზელს მიაჩნია... რომ ენხაელების შანსი სოლტ-ლეიკ... სიტიში 50/50-ზეა ნხლ-სა და ასოც... აციის მოთამაშეთა შორის დაძაბულ... ურთიერთობის გამო.




# გარდაიცვალა ლეგენდარული ჩემბერლენი

ეს სამწუხარო ცნობა აშშ-დან მოვიდა. ლოს-ანჯელესის გარეუბნის 16 სართულიან სახლში მკვდარი ნახეს 63 წლის კალათბურთის ლეგენდა უილტ ჩემბერლენი (218 სმ). დიაგნოზი – გულის მწვავე შეტევა. ჩემბერლენი მუდამ მოიხსენიებოდა საუკეთესო კალათბურთელთა შორის. 1962 წელს ნბა-ს ერთ მატჩში 100 ქულა დაიმსახურა, რაც დღემდე სარეკორდოდ რჩება. გარდა ამისა, მას კიდევ 4 სხვადასხვა რეკორდი ჰქონდა. თავის დროზე „3 წამის წესი“ შემოიღეს ამ კალათბურთელის „მოედანზე თარეშის“ ასალაგმავად. 1978 წელს იგი „საკალათბურთო დიდების დარბაზის“ წევრი გახდა, 1996 წელს კი მსოფლიოს ყველა დროის უძლიერეს 50 კალათბურთელთა შორის დაასახელეს.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობს „ქალთა გაზეთის“ რედაქტორს ცირა კუპატაძეს მამის

**ბეჟან კუპატაძის**

გარდაცვალების გამო.

## ჭადრაკი

# მსოფლიო ჩემპიონი – მესამე დაფაზე?

გერმანულ პრესაში გამოქვეყნდა საჭადრაკო ბუნდესლიგის 1999-2000 წლების გათამაშების კალენდარი და გუნდების შემადგენლობები. ამ შეჯიბრებაში, რომელიც უკვე მეოცედ ტარდება, გერმანელებთან ერთად ბევრი ცნობილი უცხოელი მოჭადრაკეც მონაწილეობს.

დიდი გაოცება გამოიწვია კიოლნის ცნობილ კლუბ „პორცის“ განაცხადმა, სადაც პირველ დაფაზე თამაშობს ახალგაზრდა გერმანელი დიდოსტატი ლუტცი, მეორეზე ასევე ახალგაზრდა ჰოლანდიელი ვან ველი, მესამეზე კი... მსოფლიო ჩემპიონი ალექსანდრ ხალიფმანი. სრულიად გაუგებარია, რატომ მოიქცა ასე გუნდის ხელმძღვანელობა. ისე კი, „პორცი“ მეტად ძლიერია. აქ მეოთხე დაფაზე თამაშობს ტიმანი, მეხუთეზე – ი. სოკოლოვი, მეექვსეზე – ვაჰანიანი და ა.შ.

საინტერესოა, რომ კლუბ „ტეგერნზეეს“ შემადგენლობაში 6 დიდოსტატ ვაჟთან ერთად ითამაშებს ცნობილი დიდოსტატი ქალი ქეთევან კახიანი, რომლისთვისაც ეს მშვენიერი ვარჯიში იქნება ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის წინ.

ზოლინგენის კლუბ „ალიოხინის“ შემადგენლობაში პირველ დაფაზე ითამაშებს ცნობილი ინგლისელი დიდოსტატი ადამსი, „ლუბეკში“ – შიროვი, „გოდესბერგში“ – ლოტიე, „ნოიკიოლნში“ – ყოფილი თბილისელი სერგო მოვსესიანი; „დრეზდნერ სკ“-ში – ალმაში, „ვატენშაიდში“ – მოროზევიჩი, „კიონიგ პლაუენში“ – ბელიავსკი და ა.შ.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**15 ოქტომბერი, პარასკევი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** რაგბი – მსოფლიოს თასი, ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (9.15, 20.50), ***კავკასია.*** სპორტი, სპორტი, სპორტი (17.50), ვარსკვლავები (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა. მანჩესტერ იუნაიტედი – ოლიმპიკი (13.20, 19.15), ევროპის საფეხბურთო კვირეული (15.05), პოლანდიის (21.00), გერმანიის (22.55), საფრანგეთის (0.55) ჩემპიონატები. ***ESPN.*** ფეხბურთი. ევრო-2000-ის საკლასიფიკაციო მატჩი: კვიპროსი – ავსტრია (20.00). ***EUROSPORT.*** მხ. ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი (12.00, 0.45), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (15.00), ფეხბურთის ლეგენდები (15.30), რაგბი. მსოფლიოს თასი (16.30, 23.00, 2.00), მეკლდეურობა. მსოფლიოს თასი (4.00).

**16 ოქტომბერი, შაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. დინამო (თბ) – დინამო (ბთ) – 16.00, ***II არხი.*** ავტოსპორტი (20.10), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (9.15, 21.00), ***კავკასია.*** სპორტი, სპორტი, სპორტი (18.10), ვარსკვლავები (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (12.30), მსოფლიოს სტადიონებზე (19.30), ***НТВ плюс футбол.*** საფრანგეთის (13.15), გერმანიის (19.55), რუსეთის (17.55) ჩემპიონატები. ევრო-2000-ის შესარჩევი მატჩების შედეგები (16.40), მატჩი თქვენი შერჩევით (23.25). ***ESPN.*** ფეხბურთი. ევრო-2000-ის საკლასიფიკაციო მატჩი. შვეიცარია – უელსი (8.00), ინგლისის პრემიერლიგა (20.00), იტალიის ჩემპიონატი (22.25). ***EUROSPORT.*** მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიოს ჩემპიონატი (13.30, 0.45), ველოსპორტი. მსოფლიოს თასი (19.00), რაგბი. მსოფლიოს თასი (22.45, 2.00), ცხენოსნობა. მსოფლიოს თასი (3.00).

**17 ოქტომბერი, კვირა**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის საკვირაო მიმოხილვა (12.30), სპორტული პროგრამა (19.40), ***იბერია.*** ბურთი და მოედანი (9.15), ***კავკასია.*** ფეხბურთის ლეგენდები (18.10), ვარსკვლავები (21.00), ***НТВ плюс футбол.*** იტალიის (15.00, 23.25 პირდაპირი რეპორტაჟი), ესპანეთის (17.15), ინგლისის (19.55), საფრანგეთის (22.40) ჩემპიონატები. ***НТВ плюс спорт.*** სამეჯლისო ცეკვები. მსოფლიოს თასი (17.20), ***ESPN.*** ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა (8.00, 18.55 პირდაპირი რეპორტაჟი: ვესტ-ჰემ იუნაიტედი – მიდლსბრო). ***EURO-SPORT.*** რაგბი. მსოფლიოს თასი (12.30).

## კროსვორდი



**თარაზულად:** 5. რაგბიში გაშლილი ფრონტით შეტევა, 6. არგენტინელი ფეხბურთელი, 1978 წლის მ/ჩ, მწვრთნელი, 8. ბილიარდის ჯოხი, 9. სიგრძის საზომი ერთეული სპორტშიც, 12. ფეხბურთელ ჩარლტონის სახელი, 13. „ბარსელონას“ ფრანგი ლეგიონერი ფეხბურთელი, 14. მექსიკელი ფეხბურთელი, 18. ევერესტის ერთ-ერთი პირველდამპყრობი შერპის სახელი, 22. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 23. სვლა ჭადრაკში, 25. „ვალენსიაში“ მოთამაშე არგენტინელი ფეხბურთელი, 27. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, 30. ფრე ანუ... 31. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი საქართველოდან, 32. ქართველი ტანმოვარჯიშე ქალი – ოლიმპიური ჩემპიონი, 33. ქართული სპორტული გაზეთი.

**შვეულად:** 1. გადაცემა ანუ... 2. სპორტის სახეობა, 3. სპორტის სახეობა, 4. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი, 7. ქართველი მესტენდური, 10. მარსელის „ოლიმპიკის“ ყოფილი პრეზიდენტი, 11. ლიბერიელი ფეხბურთელი, 15. საქართველოში ცნობილ კალათბურთელთა გვარი, 16. ინგლისელი ფეხბრთელი, 17. ფალავნებით ცნობილი რაიონი საქართველოში, 19. ფეხბურთის მეფე, 20. შეჯიბრების ბეჭდური მეგზური, 21. ფეხბურთელი – ცნობილი მეკარე, 24. მძლეოსნობის სახეობა, 26. პორტუგალიის საფეხბურთო კლუბი, 28. შეჯიბრების ერთი ნახევარი, 29. საბერძნეთის საფეხბურთო კლუბი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ფიოლერი, 4. ლივერპული, 8. სოკრატესი, 15. რიდლე, 16. კულეი, 21. ალბერტინი, 24. კოტრიკაძე, 26. სტაიერი. **შვეულად:** 5. რეალი, 7. ინდურაინი, 8. სამპდორია, 9. იოსელიანი, 10. ესნაიდერი, 11. რეკორდი, 12. ბლოხინი, 19. ბურთი. **დიაგონალურად:** 4-2. ლელო, 3-6. ეტლი, 13-7. კანი, 10-14. ენდო, 8-22. სამარანჩი, 21-9. აინტრახტი, 24-27. კოპა, 28-25. ეიჯე, 17-20. როსი, 23-18. ინსი.

## საჭადრაკო ამოცანა

ალექსანდრე დოგორჯგინიძე

„მოლოდინის ბრუზია“, 1969 წ.




შამათი 3 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. კf4! მფ:d8 2. კd6 f4 3. ეb6 მფc8 4. ეc8X. 1. ...მფf8 2. ეc8+მფg7 3. კg5 მფg6 4. ეg8X. 2. ...მფe7 3. კe5 მფe7 4. ეe8X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ საგამომცემლო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: ძაბული წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე